

საქართველოს რეგიონული მედია - ადგილობრივი მეთვალყურე ზეწოლის ქვეშ

საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო
2012 წლის ივნისი



„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“
თბილისი, 2012 წლის ივნისი

G-MEDIA-ს პროგრამა ხორციელდება ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით ამერიკის
შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მეშვეობით.
წინამდებარე დოკუმენტის შინაარსი და მასში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის
„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ და არ ასახავს
აშშ-ის მთავრობის, USAID-ის ან IREX-ის შეხედულებებს.

რეზიუმე

რეგიონებში ჟურნალისტების შეურაცხყოფისა და დაშინების შემთხვევები განსაკუთრებით ბოლო კვირების განმავლობაში გახშირდა. ეს არის მოვლენა, რომელიც შესაძლოა 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებს უკავშირდებოდეს. ასეთი ტენდენცია დიდ შემფოთებას იწვევს და არჩევნების წინ თავისუფალი მედიის გარემოს უზრუნველსაყოფად ხელისუფლებამ და პოლიტიკურმა სუბიექტებმა ზომები ახლავე უნდა მიიღონ.

არაერთ რეგიონულ მედია საშუალებას შეექმნა სირთულეები, რათა ესარგებლა ისეთივე ხელმისაწვდომობით მთავრობის მაღალჩინოსანთა მონაწილეობით ჩატარებულ ღონისძიებებზე, როგორც ნაციონალური სატელევიზიო არხები სარგებლობენ. ადგილი ჰქონდა ასეთი საშუალებების მიმართ მაღალჩინოსანთა დაცვის წევრების მხრიდან არასათანადო მოპყრობას. ქუთაისელი ჟურნალისტის განცხადებით, მას ორჯერ სცემეს; კიდევ ერთი ჟურნალისტი დააკავეს, და მისი განცხადებით, მასაც თიანეთში პოლიციამ სცემა.

სამართალდამცავი და სხვა სახელმწიფო ორგანოების გულგრილობამ გამოეძიებინათ საქმეები, განეხორციელებინათ სისხლისსამართლებრივი დევნა და პასუხისგებაში მიეცათ პირები, რომლებიც ჟურნალისტების მუშაობას ხელს უშლიან და მედიის წარმომადგენლებს აშინებენ ან თავს ესხმიან, მედიაზე თავდასხმებისთვის დაუსჯელობის გარემო შექმნა.

შემთხვევები, როგორცავე ახლახან კახეთში ჰქონდა ადგილი, სადაც მოქალაქეებს აშინებდნენ იმის გამო, რომ მათ ადგილობრივ მედია საშუალებასთან პოლიტიკაზე ისაუბრეს, სავარაუდოდ ამ ადგილობრივ საზოგადოებებში სიტყვის თავისუფლების ინსტიტუტის საფუძველს შეასუსტებს.

ურთიერთობები მედიის დამოუკიდებელ და ადგილობრივ საშუალებებსა და ადგილობრივ თვითმმართველობებს შორის ხშირად დაძაბული და საკმაოდ ანტაგონისტურია. ბევრ ადგილობრივი თანამდებობის პირს არ სურს მედიასთან ისაუბროს და მათ საზოგადოებაში განვითარებულ მოვლენებზე კომენტარი გააკეთოს. შედეგად, ჟურნალისტები ხშირად აწყდებიან სირთულეებს ადგილობრივი საკითხების თაობაზე ინფორმაციის, ხელისუფლების შეხედულებებისა და საჯარო დოკუმენტების მიღებასთან დაკავშირებით.

ადგილობრივი ბიუჯეტების ყველა ხარჯის აღრიცხვის შედეგად წინამდებარე ანგარიშით დადგინდა, რომ მუნიციპალიტეტებმა და ავტონომიურმა რესპუბლიკებმა მედიის საქმიანობისა და მისი სუბსიდირების მიზნით 2012 წლისთვის გამოყვეს სულ 8.56 მილიონი ლარი – რაც 2011 წლისთვის გამოყოფილ 7.47 მილიონ ლარზე მეტია.

რიგ მუნიციპალიტეტებს საკუთარი გამოცემები აქვთ. ზოგიერთ შემთხვევაში, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ დაასკვნა, რომ ასეთი მედია საშუალებებისთვის გამოყოფილმა საჯარო ფინანსებმა ადგილობრივ მედიაში კონკურენცია შეზღუდა და კერძო გამოცემების მდგრადობას საფრთხე შეუქმნა.

წინამდებარე ანგარიშის სამუშაო ვერსიის საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოსთვის გაზიარების შედეგად ანგარიში განხილული იყო საბჭოსთან ერთად, რომელიც

2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების უწყებათაშორის კომისიას ხელმძღვანელობს და საქართველოს ხელისუფლების მიერ წარსადგენ ანგარიშებს უწევს კოორდინირებას.¹

¹ სხვა პასუხისმგებლობებს შორის, ეროვნული უშიშროების საბჭოს ამოცანაა ადამიანის უფლებათა, უმცირესობათა და კანონის უზენაესობის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბების კოორდინირება და ამ პოლიტიკის განხორციელებაზე მეთვალყურეობა. „ის ასევე სწავლობს და აანალიზებს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა სფეროში არსებულ მდგომარეობას, მათ შორის უმცირესობათა უფლებებს და კანონის უზენაესობას, და ამზადებს რეკომენდაციებსა და ინიციატივებს ეროვნული უშიშროების საბჭოსა და შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მიერ განსახილველად“, ნათქვამია ეროვნული უშიშროების საბჭოს ვებ-გვერდზე, <http://nsc.gov.ge/eng/>.

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას

- სამართალდამცავმა ორგანოებმა, პროკურატურამ და სხვა შესაბამისმა სახელმწიფო ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ჟურნალისტების წინააღმდეგ დაშინებისა და მათზე თავდასხმის ყველა ინციდენტი სწრაფად და ეფექტურად იყოს გამოძიებული, და რომ დამნაშავეებმა პასუხი აგონ საკუთარ ქმედებებზე, ომბუცმენის რეკომენდაციებთან შესაბამისობაში;
- შესაბამისმა სახელმწიფო ორგანოებმა ყველა დონეზე უნდა უზრუნველყონ, რომ ყველა დაინტერესებულ მედია საშუალებას მარტივად და თანაბრად მიუწვდებოდეს ხელი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე მაღალი თანამდებობის პირთა და კანდიდატთა მონაწილეობით გამართულ ღონისძიებებზე; და დროულად შეატყობინონ მედია საშუალებებს აკრედიტაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი მოთხოვნის თაობაზე;
- ყველა პოლიტიკურმა პარტიამ უნდა უზრუნველყოს, რომ ყველა დაინტერესებულ მედია საშუალებას მარტივად და თანაბრად მიუწვდებოდეს ხელი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე საარჩევნო კამპანიის ფარგლებში გამართული ღონისძიებების გაშუქებაზე; და დროულად შეატყობინონ მედია საშუალებებს აკრედიტაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი მოთხოვნის თაობაზე;
- სამართალდამცველებს და სამხედრო პერსონალს უნდა ჩაუტარდეთ ტრენინგები და მიეცეთ ზუსტი ინსტრუქციები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მოიქცნენ ჟურნალისტებთან და მედიის მუშაკებთან ურთიერთობისას, მათ შორის დამაბულ სიტუაციებში;
- რეგიონულმა და ადგილობრივმა სახელმწიფო ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ სახელმწიფო შენობებში და საჯარო შეხვედრებზე ჟურნალისტთა მარტივად მოხვედრა, მათ შორის მათზე შესაბამის სახელმწიფო შენობებში შესასვლელად გრძელვადიანი აკრედიტაციის გაცემის გზით;
- ადგილობრივმა და რეგიონულმა სახელმწიფო ორგანოებმა უნდა შეაფასონ, მოაქვს თუ არა შედეგი მედიაზე მათ მიერ გახარჯულ თანხებს, გამოაცხადონ ტენდერები უფრო ხანგრძლივი საბოლოო ვადებით, რათა გაიზარდოს კონკურენცია, და უზრუნველყონ, რომ მედია საშუალებებისთვის გამოყოფილმა თანხებმა არ შეზღუდოს ადგილობრივი კონკურენტული გარემო.
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასთან კონსულტაციების შედეგად მთავრობამ პარლამენტში უნდა წარადგინოს ინიციატივა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ არის შესაძლებელი სახელმწიფო მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელთან ინტეგრაცია;

- სახელმწიფომ უნდა განიხილოს ადგილობრივი ჩინოვნიკებისათვის კომუნიკაციების სფეროში ტრენინგების ჩატარების შესაძლებლობა, რაც მათ წააქეზებდა ჰქონდეთ უფრო პირდაპირი და ხშირი კონტაქტი ადგილობრივ ჟურნალისტებთან. არსებული სახელმწიფო მონაცემთა ბაზების გამოყენებაში ტრენინგები გააძლიერებდა ადგილობრივი სახელმწიფო შტატების შესაძლებლობებს უპასუხონ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებს და დროულად დაამუშაონ ასეთი მოთხოვნები. მუნიციპალიტეტებმა უნდა დანიშნონ პრესსპიკერები, რომლებიც შეძლებენ და რომლებსთვისაც ნებადართული იქნება დროულად უპასუხონ მედია სამუშაოების მიერ დასმულ შეკითხვებს;
- მუნიციპალიტეტებმა უნდა განიხილონ ისეთი განცხადებათა დაფების განთავსების შესაძლებლობა, რომლებიც სახელმწიფო შენობების გარეთ განთავსდება, საზოგადოებისათვის ადვილად ხელმისაწვდომი და ხილვადი იქნება, სადაც გამოიკვრება ყველა ბოლოდროინდელი და შესაბამისი შეტყობინება და ბრძანება, და დაანონსდება საჯარო ადგილობრივი სამთავრობო შეხვედრები. მუნიციპალიტეტებმა, რომლებსაც საკუთარი ვებ-გვერდები აქვთ, ონლაინ რეჟიმში უნდა გამოაქვეყნონ შესაბამისი დოკუმენტები და ინფორმაცია დაგეგმილი საჯარო შეხვედრების თაობაზე.

რეგიონულ მედიას

- რეგიონებში ჟურნალისტებმა უნდა განიხილონ უსარგებლო დაპირისპირებების თავიდან აცილებისა და ადგილობრივ თანამდებობის პირებთან ხშირად საკმაოდ ანტაგონისტური ურთიერთობების დაძლევის შესაძლებლობები. მედია სამუშაოებმა უნდა მოიძიონ ახალი გზები ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ურთიერთობების მიზნით და შეიტანონ წვლილი მათთან პროფესიული და კონსტრუქციული სამუშაო ურთიერთობების ჩამოყალიბებაში;
- ჟურნალისტებმა უკეთ უნდა გამოიყენონ ელექტრონული სახით არსებული საჯარო ინფორმაცია, რაც მათ საშუალებას მისცემს უფრო კონკრეტულად და მიზნობრივად ჩამოაყალიბონ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე მოთხოვნები, რასაც შესაძლოა ამ მოთხოვნების უფრო სწრაფი დამუშავება მოყვეს და რაც სახელმწიფო ორგანოებს სამუშაო დატვირთვის შემცირებაში ეხმარება;
- ჟურნალისტები უნდა იცნობდნენ ეთიკურ და პროფესიულ სახელმძღვანელო პრინციპებს, მათ შორის მაუწყებელთა ქცევის კოდექსსა და ეთიკის ქარტილაში მოცემულ პრინციპებს, და მოქმედებდნენ პროფესიული ჟურნალისტური პრინციპების თანახმად.

ადგილობრივი მედიის წინააღმდეგ ზეწოლის ბოლოდროინდელი შემთხვევები

უკანასკნელი კვირების განმავლობაში, რეგიონებში ჟურნალისტებზე ზეწოლისა და მათი დაშინების შემთხვევები საგრძნობლად გახშირდა. საქართველოს რეგიონული მედიის ასოციაციამ, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებმა დააფიქსირეს მთელი რიგი შემაშფოთებელი ინციდენტებისა, რომელიც მედიაზე ზეწოლას ასახავს. სურათი, რომელიც ამ ინციდენტების გაანალიზებისას შეიქმნა, გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე რეგიონულ მედიას შეზღუდული აქვს პოლიტიკური მოვლენების სრულყოფილად გაშუქების შესაძლებლობა.²

ჟურნალისტის დაკავება და სავარაუდო ცემა თიანეთში

გელა მთივლიშვილი, კახეთისა და მცხეთა-მთიანეთის ონლაინ საინფორმაციო ცენტრების ხელმძღვანელი, აცხადებს, რომ 20 მაისს თიანეთში (მცხეთა-მთიანეთის რეგიონი) პოლიციამ დააკავა და სცემა.

სამმა თვითმხილველმა „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ მოუყვა, თუ როგორ დაინახეს, რომ მთივლიშვილი თიანეთის პოლიციის განყოფილებას სურათებს უღებდა.³ სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილმა მამაკაცმა, რომელიც პოლიციის განყოფილების გარეთ იდგა, ჟურნალისტს ხელი დაუქნია და მიანიშნა, რომ მთივლიშვილი მასთან მისულიყო. თუმცა, ჟურნალისტმა მოთხოვნას ყურადღება არ მიაქცია და თავის მანქანაში ჩაჯდა. ამის შემდეგ მამაკაცი მთივლიშვილს მიუახლოვდა და ჰკითხა, თუ ვინ იყო იგი.⁴ მთივლიშვილი მას ჟურნალისტად გაეცნო, მაგრამ უარი განაცხადა პირადობის მოწმობის ჩვენებაზე, და სთხოვა სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმულ მამაკაცს, რომ მას პირველს გაემხილა თავისი ვინაობა. მას შემდეგ, რაც მთივლიშვილს ფორმაში ჩაცმული პოლიციელიც მიუახლოვდა, ამ სცენის თვითმხილველთა განცხადებით⁵ ჟურნალისტმა პოლიციელს პირადობის დამადასტურებელი რამდენიმე დოკუმენტი წარუდგინა.

ამის შემდეგ სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმულმა მამაკაცმა ჟურნალისტს კამერა გამოგლიჯა და მესამე ფორმიან პოლიციელს დაუძახა. როგორც „საერთაშორისო გამჭვირვალობა -

² აღნიშნული ანგარიში ყურადღებას ამახვილებს საქართველოში რეგიონული და ადგილობრივი მედია საშუალებების წინაშე არსებულ გამოწვევებზე. ანგარიშის მიზანი არ არის განიხილოს ისეთი საკითხები, როგორცაა მედია საშუალებების შესაძლებლობები და ფინანსური მდგრადობა. საქართველოს მედიის წინაშე არსებული ეკონომიკური გამოწვევების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ანგარიში: საქართველოს სარეკლამო ბაზარი (2011 წლის ნოემბერი), <http://transparency.ge/en/advertising>.

³ ერთ-ერთი თვითმხილველი ოპოზიციური კოალიცია „ქართული ოცნების“ ადგილობრივი წარმომადგენელია. გელა მთივლიშვილი „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოსთან“ მჭიდროდ თანამშრომლობდა და ამ ორგანიზაციისათვის ჩატარებული კვლევისათვის გარკვეული ფინანსური კომპენსაცია აქვს მიღებული.

⁴ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოსთან“ საუბრისას ერთ-ერთი თვითმხილველი ამტკიცებდა, რომ სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი მამაკაცი თიანეთის პოლიციის განყოფილების უფროსის მოადგილე იყო.

⁵ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ინტერვიუები თიანეთში.

საქართველოს“ თვითმხილველებმა უთხრეს, სამმა მამაკაცმა ჟურნალისტი პოლიციის განყოფილებაში ძალით შეიყვანა.

„ეს ჩემთვის ძალზე შეურაცხმყოფელი იყო“, აცხადებს მთივლიშვილი, რომელმაც მეგობრებთან ორი სატელეფონო ზარის განხორციელება და სიტუაციის თაობაზე მათი ინფორმირება მანამ მოახერხა, ვიდრე მობილურ ტელეფონს ჩამოართმევდნენ. „პოლიციელებს ვუთხარი, რომ მსურდა ადვოკატთან დამერეკა, რომელიც ჩემს ინტერესებს დაიცავდა, მაგრამ მათ დარეკვის საშუალება არ მომცეს“, ამბობს მთივლიშვილი. მისი მტკიცებით, მისი დაკავების ამსახველი მასალა კამერიდან წაშლილი იყო.⁶

ჟურნალისტის განცხადებით, პოლიციის განყოფილებაში მას პოლიციელებმა მუცლის არეში რამდენჯერმე და თავში ერთხელ ჩაარტყეს. მისი დაკავების დროს, რაც დაახლოებით 50 წუთს გრძელდებოდა, მთივლიშვილი შოკში ჩავარდა. „მე სისუსტე ვიგრძენი და განყოფილების დატოვებამდე ექიმის ნახვა ვითხოვე.“ გამოძახებულმა სასწრაფო დახმარებამ ჟურნალისტი ადგილობრივ საავადმყოფოში გადაიყვანა.⁷

შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსანმა, შოთა უტიაშვილმა media.ge-ს განუცხადა, რომ ინციდენტი ჟურნალისტის მხრიდან „ამკარა პროვოკაცია“ იყო და რომ პოლიციას იგი არც უცემია და არც მის კამერას შეხებია. თავის ვებ-გვერდზე დადებულ ინფორმაციაში სამინისტრო აცხადებდა: „მას შემდეგ, რაც გელა მთივლიშვილმა უარი განაცხადა საკუთარი ვინაობის გამხელაზე, იგი მისი ვინაობის დადგენის მიზნით თიანეთის პოლიციის შენობაში გადაიყვანეს და რამდენიმე წუთში მას შემდეგ გაათავისუფლეს, რაც პოლიციამ მისი ვინაობის დადგენა შეძლო. თუმცა, მან შენობის დატოვებაზე უარი განაცხადა, რის შემდეგ პოლიციელები იძულებულნი იყვნენ იგი შენობიდან ძალით გაეყვანათ. ინციდენტის დროს გელა მთივლიშვილი ფიზიკური დაპირისპირების ობიექტი არ გამხდარა“.⁸

იმავე განცხადებაში სამინისტრო ასევე აცხადებდა, რომ მედიის წარმომადგენლებს შეეძლოთ პოლიციელებისთვის და პოლიციის შენობებისთვის სურათების გადაღება, თუმცა მედიის წარმომადგენლებს „უფრო გონივრულად მოქცევისკენ“ მოუწოდებდა.⁹

ქუთაისელ ჟურნალისტზე თავდასხმა

გაზეთ „P.S.-ის“ ჟურნალისტის, ირაკლი ვაჩიბერიძის განცხადებით, იგი ზედიზედ ორი დღის განმავლობაში სამთავრობო დაცვის თანამშრომლებმა ორჯერ სცემეს.

ჟურნალისტი ესწრებოდა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გამოსვლას 2 მაისს ქუთაისის ოპერაში - ღონისძიებას, რომელსაც პრეზიდენტის ადმინისტრაცია იღებდა, და რომელზეც ჟურნალისტები არ იყვნენ დაშვებულნი.¹⁰ ვაჩიბერიძის განცხადებით, მას შემდეგ, რაც მან

⁶ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ინტერვიუ გელა მთივლიშვილთან.

⁷ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ინტერვიუ გელა მთივლიშვილთან.

⁸ <http://www.media.ge/en/stories/ministryofinternalaffair>.

⁹ <http://police.ge/index.php?m=8&newsid=3306>.

¹⁰ ეროვნული უშიშროების საბჭოს წარმომადგენელმა, თამარ კინწურაშვილმა „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ განუცხადა, რომ პრეზიდენტის პრესოფისი აღნიშნულ ღონისძიებას ნაციონალური ტელევიზიის

დაინახა, თუ როგორ სთხოვა დაცვის თანამშრომელმა ქალბატონს ოთახის დატოვება, რადგან იგი მმართველი პარტიის მხარდამჭერი არ იყო, მან დაიწყო აღნიშნული სცენისთვის და დაცვისთვის სურათების გადაღება, რომელიც ქალბატონის ოთახიდან ძალით გაყვანას ცდილობდა. ამის შემდეგ, ვაჩიბერიძის განცხადებით, მას დაცვის რამდენიმე თანამშრომელი თავს დაესხა. მისი მტკიცებით, იგი აიძულეს მისი კამერიდან ყველა სურათი წაეშალა, სცემეს და შენობიდან გამოაგდეს.¹¹

მომდევნო დღეს ვაჩიბერიძე, ვინაობის დამადასტურებელი ყალბი დოკუმენტის გამოყენებით და ისე, თითქოს იგი ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრი ყოფილიყო, დაესწრო შინაგან საქმეთა მინისტრის, ვანო მერაბიშვილის გამოსვლას, რომელიც ჟურნალისტებისთვის დახურული იყო. ჟურნალისტის განცხადებით, იგი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელმა ამოიციო და ოთახის დატოვება მოსთხოვა. ვაჩიბერიძის განცხადებით, გარეთ გაყვანის შემდეგ დაცვის თანამშრომლებმა მას ცემა დაუწყეს და მხოლოდ მას შემდეგ გაჩერდნენ, როდესაც მან ასთმური შეტევის ინსცენირება მოახდინა.¹²

ეროვნული უშიშროების საბჭოს წარმომადგენლის განცხადებით, პოლიციამ ვაჩიბერიძეს ფიზიკური დაზიანებების დადგენის მიზნით სამედიცინო შემოწმების გავლა შესთავაზა, რაზეც ჟურნალისტმა უარი განაცხადა.¹³ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის დახმარებით ჟურნალისტმა ინციდენტების შესახებ სამართალდამცავ ორგანოებს შეატყობინა.¹⁴

პრეზიდენტის მონაწილეობით გამართული ღონისძიებების გაშუქებაში ხელშეშლა

„ახალი გაზეთის“, „მეგა თი-ვის“, საინფორმაციო სააგენტო „პირველის“, „P.S.-ის“, რადიო „ძველი ქალაქისა“ და „მაესტრო თი-ვის“ წარმომადგენელი ჟურნალისტების განცხადებით, დაცვის თანამშრომლებმა მათ არ გააშუქებინეს ქუთაისის ოპერაში 2 მაისს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ზემოაღნიშნული გამოსვლა, მაშინ როდესაც პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ მიწოდებული მასალით ნაციონალურმა სატელევიზიო არხებმა აღნიშნული ღონისძიება პირდაპირ ეთერში გააშუქეს.¹⁵

მეშვეობით პირდაპირ ეთერში გადასცემდა, საკუთარი გადამღები ჯგუფების გამოყენებით. ეროვნული უშიშროების საბჭოს წარმომადგენლის თანახმად, ზოგჯერ ადმინისტრაცია ამგვარი ღონისძიებებისთვის ნაციონალურ სატელევიზიო არხებში მომუშავე გადამღებ ჯგუფებს ქირაობს.

¹¹ ვაჩიბერიძემ ისაუბრა რეგიონული მედიის ასოციაციის მიერ 2012 წლის 11 მაისს თბილისში გამართულ საჯარო პრეზენტაციაზე.

¹² http://www.media.ge/en/stories/the_ps_journalist_appeal, შემთხვევა ასევე დოკუმენტურად აღწერეს რეგიონული მედიის ასოციაციის თანამშრომლებმა; დოკუმენტი ქართულად და ინგლისურად იხილეთ მისამართზე: <http://goo.gl/fY13I>.

¹³ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ინტერვიუ ეროვნული უშიშროების საბჭოს წარმომადგენელთან, თამარ კინწურაშვილთან.

¹⁴ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ინტერვიუ ირაკლი ვაჩიბერიძესთან.

¹⁵ http://www.media.ge/en/stories/regional_media_talks_abo; http://www.media.ge/en/stories/president_saakashvili_s_, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ინტერვიუ ეროვნული უშიშროების საბჭოსთან.

ჟურნალისტების მიერ გამოთქმულ კრიტიკას პრეზიდენტის პრესსპიკერი ნათია ბანძელაძე გამოეხმაურა და განაცხადა, რომ ჟურნალისტებს, რომლებიც ღონისძიებაზე არ დაუშვეს, სავალდებულო პრეს-აკრედიტაცია არ გააჩნდათ. ბანძელაძის განცხადებით, ნებისმიერ მედია საშუალებას, რომელსაც სურდა პრეზიდენტის მონაწილეობით გამართული ღონისძიებების გაშუქება, უნდა გაეარა აკრედიტაციის პროცედურა, რის შემდეგ ის შეძლებდა პრეზიდენტის ყველა ვიზიტისა და სიტყვით გამოსვლის გაშუქებას. ადგილობრივმა მედია საშუალებებმა დაიჩვიეს, რომ ისინი რეგიონებში მაღალი დონის ვიზიტების თაობაზე საკმარისად ადრე ვერ იგებენ.¹⁶

პრეზიდენტის ადმინისტრაცია მაისის დასაწყისში გააკრიტიკეს ღია წერილით, რომელსაც ხელს აწერდნენ აჭარის, კახეთის, მცხეთა-მთიანეთის, სამეგრელოს, შიდა ქართლისა და ზემო სვანეთის ონლაინ საინფორმაციო ცენტრები. წერილში ცენტრები აცხადებდნენ, რომ პრეზიდენტის დაცვის თანამშრომლები ხელს უშლიდნენ მათ ჟურნალისტებს სააკაშვილის სხვადასხვა რეგიონში განხორციელებული ვიზიტების სრულყოფილად გაშუქებაში, მაშინ როდესაც ნაციონალური სატელევიზიო არხები სრული ხელმისაწვდომობით სარგებლობდნენ.¹⁷

წერილში აღწერილი იყო tspress.ge-ს ჟურნალისტის, იზა სალაყაიას შემთხვევა, რომელსაც 3 მაისს პრეზიდენტის დაცვამ ხელჩანთა და კამერა ჩამოართვა, როდესაც იგი ფოტოში სააკაშვილის ვიზიტის გაშუქებას ცდილობდა. სალაყაიას განცხადებით, მას ძალით დაატოვებინეს ახლახან აშენებული საავადმყოფო, საიდანაც დაცვის თანამშრომლებმა მისი ხელჩანთა და კამერა, რომელსაც უკვე მეხსიერების ბარათი აღარ ჰქონდა, შენობის ეზოში გადაყარეს.¹⁸ ეროვნული უშიშროების საბჭოს წარმომადგენელმა „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ განუცხადა, რომ სალაყაია ღონისძიებაზე დაგვიანებით მივიდა და რომ ღონისძიებას tspress.ge-ს სხვა ჟურნალისტი ესწრებოდა, რომელმაც უსაფრთხოების ზომები გაიარა. ხელისუფლების წარმომადგენლები ასევე აღნიშნავენ, რომ ჟურნალისტები და მედიის მუშაკები, რომელთაც არ გააჩნიათ პირადობის დამადასტურებელი საჭირო დოკუმენტები, შესაძლოა არ დაუშვან პრეზიდენტის დაცვის სამსახურის მიერ უკვე შემოწმებულ ადგილებზე.¹⁹

საინფორმაციო ცენტრების წერილში ასევე აღწერილია ჟურნალისტი ნათია დანელიშვილის შემთხვევა, რომელიც 2011 წლის 2 სექტემბერს დროებით დააკავეს დაცვის თანამშრომლებმა, როდესაც იგი ყვარელში, სოფელ გრემში პრეზიდენტის სტუმრობის გაშუქებას ცდილობდა.²⁰

2012 წლის 2 ივნისს რეგიონული მედიის ასოციაციების, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ და მედია თავისუფლების სხვა დამცველების წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრაზე ირმა ნადირაშვილმა, პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილემ გამოთქვა მზადყოფნა, რომ გაუმჯობესდეს რეგიონულ ჟურნალისტებთან

¹⁶ <http://www.media.ge/en/stories/presidentspressservicere>.

¹⁷ <http://ick.ge/ka/articles/10807-2012-05-09-08-43-34.html>, <http://www.media.ge/node/47052>.

¹⁸ http://www.media.ge/en/stories/regional_media_talks_abo.

¹⁹ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ შეხვედრა ეროვნული უშიშროების საბჭოს წარმომადგენელთან, თამარ კინწურაშვილთან.

²⁰ <http://ick.ge/ka/articles/10807-2012-05-09-08-43-34.html>, <http://www.media.ge/node/47052>.

კომუნიკაცია და განახლდეს პრეზიდენტის მონაწილეობით გამართული ღონისძიებების გაშუქების მიზნით მედიის მუშაკებისა და ჟურნალისტების აკრედიტაციის პროცესი. მან ასევე ხაზგასმით აღნიშნა, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაცია მზად არის უზრუნველყოს, რომ ყველა მედია საშუალებას თანაბრად მიუწვდებოდეს ხელი ინფორმაციაზე და ყველა საშუალებამ შეძლოს სახელმწიფოს მეთაურის საჯარო ღონისძიებების გაშუქება.²¹

ომბუცმენმა გიორგი ტულუშმა მოუწოდა ხელისუფლებას მიეღო შესაბამისი ზომები ჟურნალისტთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.²² 4 მაისს მან მთავარ პროკურორს სთხოვა „დაუყოვნებლივ და ეფექტურად იყოს გამოძიებული თითოეული საქმე, სადაც ჟურნალისტთა უფლებები იყო დარღვეული, და უზრუნველყოფილი იყოს დამნაშავეთა დასჯა.“²³

დაუსჯელობის გარემო

მედიის თავისუფლება დაცულია საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლით, ხოლო საქართველოს სისხლის სამართლის 154-ე მუხლი კრძალავს ჟურნალისტებისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლას, მათ შორის ჟურნალისტის იძულებას „გაავრცელოს ინფორმაცია ან თავი შეიკავოს მისი გავრცელებისაგან“.²⁴

საქართველოს სახალხო დამცველმა არაერთხელ გაუსვა ხაზი მედიის თავისუფლების მნიშვნელობას და სახელმწიფოს პასუხისმგებლობას უზრუნველყოს ნებისმიერი ჟურნალისტის მიერ მისი პროფესიული მოვალეობების შესრულების შესაძლებლობა და ინფორმაციის თავისუფლად მოპოვება.

სახალხო დამცველის 2011 წლის ანგარიშის თანახმად, უკანონო ქმედებების გამოძიება, რომლის შედეგად ჟურნალისტები დაზარალდნენ, პრობლემად რჩება. ხშირად გამოძიება ყოვნიდებოდა ან საერთოდ წყდებოდა, რადგან სამართალდამცველები დანაშაულის ნიშნებს ვერ პოულობდნენ. ანგარიშის თანახმად, „ჟურნალისტთა წინააღმდეგ ძალადობაზე ადეკვატური და დროული რეაგირება სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტი უნდა იყოს“.²⁵

²¹ ასევე იხილეთ: <http://www.media.ge/en/stories/administrationofpresiden>.

²² <http://ombudsman.ge/index.php?page=1001&lang=0&id=1495>

²³ http://www.media.ge/en/stories/public_defender_releases, <http://ombudsman.ge/index.php?page=1001&lang=0&id=1495>.

²⁴ საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლი: „1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით. 2. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია. ცენზურა დაუშვებელია. 3. სახელმწიფოს ან ცალკეულ პირებს არა აქვთ მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაციის უფლება. 4. ამ მუხლის პირველ და მეორე პუნქტებში ჩამოთვლილ უფლებათა განხორციელება შესაძლებელია კანონით შეიზღუდოს ისეთი პირობებით, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიალური მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, სხვათა უფლებებისა და ღირსების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.“
http://www.parliament.ge/files/68_1944_951190_CONSTIT_27_12.06.pdf.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, <http://legislationline.org/documents/action/popup/id/16049/preview>.

²⁵ სახალხო დამცველის 2011 წლის ანგარიში.

ყოველდღიურ გაზეთ „რეზონანსისა“ და მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრის თანამშრომლის, მარი ოთარაშვილის განცხადებით, მას კომპანია „ინტერპლასტიკ“ ხელმძღვანელ თანამდებობაზე მყოფი პირი მიშა ბ. სატელეფონო ზარით მას შემდეგ დაემუქრა, რაც მან სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლების არჩევნებში ამ პირის სავარაუდო მონაწილეობაზე სტატია გამოაქვეყნა.²⁶ ოთარაშვილის მიერ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოსთვის“ მიწოდებული აუდიო ჩანაწერი აღნიშნულ სატელეფონო ზარს და დაშინების მცდელობას აფიქსირებს. „ინტერპლასტიკ“ ერთ-ერთი მესაკუთრეები არიან მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორი ცეზარ ჩოჩელი და მისი ძმა იაგო ჩოჩელი („ინტერპლასტიკ“ აქციათა 66% პანამაში რეგისტრირებულ ოფშორულ კომპანიას, „ლიმბოლტოუნ ინტერნიშენალ ეს. ეის.“ ეკუთვნის).²⁷

ოთარაშვილი ერთადერთი ქართველი ჟურნალისტია, რომელმაც სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი, ოკუპირებული ახალგორის რეგიონის გაშუქება შეძლო, რადგან იგი იქ არის რეგისტრირებული. ოთარაშვილისა და მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრის მიერ საქმის საჯაროდ გახმაურების შემდეგ, სამართალდამცავმა ორგანოებმა საქმეზე ოფიციალური გამოძიება დაიწყეს.²⁸

თუმცა, როგორც ოთარაშვილმა „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ განუცხადა, გამოძიების დაწყებიდან ორი კვირის შემდეგ პოლიცია მას არ დაკავშირებია და შესაბამისად მას არ ჰქონია შესაძლებლობა წარედგინა სამართალდამცველებისთვის მტკიცებულებები, რათა მისი საქმე სამხარეო პროკურატურაში გადაგზავნილიყო.

2011 წლის ნოემბერში ყოველკვირეულ გაზეთ „ბათუმელების“ თანამშრომლებმა ამოიცივეს და გამოაშკარავეს მამაკაცი, რომელიც სავარაუდოდ გაზეთის წამყვან გამომძიებელ ჟურნალისტს 2009 წელს აშანტაჟებდა.²⁹ მართალია, „ბათუმელების“ თანამშრომლებმა შეატყობინეს სამართალდამცველებს თავისი მიგნებების შესახებ და პოლიცია ეჭვმიტანილის თბილისში არსებულ ბინაში მიიყვანეს, მაგრამ ეჭვმიტანილის წინააღმდეგ პროცედურები არ დაწყებულა, რასაც ომბუცმენის ანგარიშიც აკრიტიკებს.³⁰

ტელეკომპანია „მაესტროს“ წამყვანს შალვა რამიშვილს და მის გუნდს სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული პირები აჩერებდნენ, დროდადრო აკავებდნენ და იძულებით სვამდნენ მანქანაში, როდესაც ისინი 2011 წლის 26 სექტემბერს კახეთში, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის კერძო სახლთან ახლოს გადაღებებს აწარმოებდნენ. რამიშვილის განცხადებით, ამ პირებს არ უთქვამთ, თუ ვინ იყვნენ და მათ ჯგუფს დროებით ჩამოართვეს აპარატურა, რომელიც მოგვიანებით დააბრუნეს, მხოლოდ მეხსიერების ბარათისა და მიკროფონის გამოკლებით.³¹ სახალხო დამცველმა მოუწოდა სამართალდამცავ ორგანოებს და

²⁶ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ინტერვიუ რეზო ოთარაშვილთან; <http://www.icmm.ge/ka/site/articles/1434>.

²⁷ https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=364504&app_id=420727; <https://www.registro-publico.gob.pa/scripts/nwwisapi.dll/conweb/MESAMENU?TODO=SHOW&ID=549415>.

²⁸ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ინტერვიუ მარი ოთარაშვილთან; http://www.media.ge/en/stories/law_enforcement_launches.

²⁹ http://www.media.ge/en/content/the_batumelebi_tracks.

³⁰ სახალხო დამცველის 2011 წლის ანგარიში; http://www.media.ge/en/content/the_batumelebi_tracks.

³¹ <http://www.media.ge/en/node/42507>.

პროკურატურას დაეწყოთ გამოძიება აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, მაგრამ თავის მოთხოვნაზე პასუხი არასოდეს მიუღია.³²

კახეთის საინფორმაციო ცენტრის რედაქტორმა გელა მთივლიშვილმა 2011 წლის ნოემბერში ყოფილი სამხარეო პროკურორისგან მიიღო შეურაცხყოფებისა და პირადი მუქარების შემცველი ელექტრონული წერილი.³³ მართალია, სახალხო დამცველმა ითხოვა ინფორმირებული ყოფილიყო საქმის გამოძიების მიმდინარეობის თაობაზე, მაგრამ მიღებული ზომების თაობაზე მისთვის არავითარი ინფორმაცია არ მიუწოდებიათ.³⁴

არ არსებობს ჟურნალისტების, მედიის მუშაკების, ბლოგერების ან ინტერნეტ-აქტივისტების საქართველოში მათ მიერ განხორციელებული სამუშაოების გამო დაპატიმრების დოკუმენტურად დადასტურებული ბოლოდროინდელი შემთხვევები.³⁵ ერთმა ცნობილმა ქართველმა ჟურნალისტმა, ვახტანგ კომახიძემ 2010 წელს თავშესაფარი შვეიცარიაში მოითხოვა, ამტკიცებდა რა, რომ იგი ხელისუფლების მხრიდან ზეწოლას განიცდიდა და თავისი სამუშაოს გამო მუქარებს იღებდა.³⁶

თავის პრესის თავისუფლების 2012 წლის ინდექსში, „ჟურნალისტებმა საზღვრებს გარეშე“ საქართველოს 179 ქვეყნიდან 104-ე ადგილი მიანიჭეს;³⁷ „თავისუფლების სახლი“ (Freedom House) საქართველოს მედიას „ნაწილობრივ თავისუფლად“ ახასიათებს.³⁸ IREX-ის მედია მდგრადობის ინდექსით საქართველოს სიტყვის თავისუფლების სფეროში 0-დან (არათავისუფალი პრესა) 4-მდე (მდგრადი, თავისუფალი პრესა) შკალაზე 2.12 ქულა მიენიჭა.³⁹

დაპირისპირებები გადაღებებთან დაკავშირებით

ადგილობრივი მედია საშუალებების წარმომადგენლები ინფორმაციის მისაღებად, ამბების გასაშუქებლად ან თანამდებობის პირებისგან კომენტარის მისაღებად არაორდინალურ მეთოდებს მიმართავენ.

წესები იმის შესახებ, თუ რა სახის ინფორმაცია არის საჯარო, და სად და რა პირობებში სარგებლობენ ჟურნალისტები სრული უფლებით გადაიღონ და დოკუმენტურად დააფიქსირონ განვითარებული მოვლენები, საქართველოში ხშირად კამათის გამომწვევ სფეროს წარმოადგენს. შედეგად, ხშირად მსგავსი სიტუაციების ესკალაცია ხდება, როგორც ამას ქვემოთ მოყვანილი მაგალითები მოწმობს:

³² სახალხო დამცველის 2011 წლის ანგარიში.

³³ <http://beyondtbilisi.ge/en/content/ex-prosecutor-threatens-kakheti-information-center-kic-editor-email>;
<http://ick.ge/ka/articles/8661-2011-11-07-06-15-41.html>.

³⁴ სახალხო დამცველის 2011 წლის ანგარიში.

³⁵ ასევე იხილეთ: „ჟურნალისტები საზღვრებს გარეშე“, <http://en.rsf.org/report-georgia.105.html>.

³⁶ http://www.rferl.org/content/Georgian_Journalist_Seeks_Political_Asylum_In_Switzerland/1954505.html.

³⁷ <http://en.rsf.org/press-freedom-index-2011-2012,1043.html>.

³⁸ http://www.freedomhouse.org/sites/default/files/inline_images/FTW%202012%20Booklet--Final.pdf.

³⁹ IREX Media Sustainability Index 2012: Georgia, http://www.irex.org/system/files/u105/EE_MSI_2012_Georgia.pdf.

- სულხან მესხიძე, მედია ჯგუფ „აჭარა P.S.-ის“ ჟურნალისტი, 2012 წლის 6 აპრილს ქობულეთში იღებდა კორპუსიდან იმ მობინადრეთა გამოსახლებას, რომლებმაც სესხის თანხების გასტუმრება ვერ შეძლეს. ჟურნალისტის მიერ გადაღებული მასალიდან ჩანს, თუ როგორ ცდილობდა ათეულობით პოლიციელი ადგილის ადელვებული ადგილობრივებისგან იზოლირებას.⁴⁰ „ამის შემდეგ, „ერთ-ერთი პოლიციელი თავს დამესხა, მხარში ჩამარტყა და გადაღებაში შემიშალა ხელი. მან გვერდზე გამათრია და შეეცადა კამერა წაერთმია“, განუცხადა მესხიძემ media.ge-ს.⁴¹
- „ხალხის გაზეთში“ მომუშავე ორ ჟურნალისტს, შორენა ხაბელაშვილს და ნინო ტერუნაშვილს 2011 წლის დეკემბერში კარაღეთის დევნილთა დასახლებაში დაუდგენელმა პირებმა ხელი შეუშალეს გადაღებაში. მათთან მივიდა ორი მამაკაცი, რომლებმაც მოთხოვეს მათ ადგილის დატოვება და შეურაცხყოფა მიაყენეს. გადაღებულ ვიდეოზე ეს ფაქტი დეტალურადაა აღბეჭდილი.⁴² „შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრი“ აცხადებს, რომ პირები, ვინც ჟურნალისტებს გადაღება აუკრძალა, პარლამენტის ადგილობრივი მაჟორიტარი დეპუტატის, ზადრი ბასიშვილის გარემოცვიდან არიან.⁴³
- მას შემდეგ, რაც „ხალხის გაზეთის“ ჟურნალისტმა, რეზო ნადირაძემ სოციალურ ქსელში (Facebook) პირად გვერდზე იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლებაში გადაღებული ვიდეო სრული სახით ატვირთა, ის ამბობს, რომ სახლის ტელეფონზე დაურეკეს და სიკვდილით დაემუქრნენ: „შემდეგ დღეს დამირეკა უცნობმა მამაკაცმა, რომელმაც მითხრა, რომ თუ სადმე გადამეყრებოდა ყელს გამომჭრიდა“ - განუცხადა ნადირაძემ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“. მან აგრეთვე გვითხრა, რომ პროკურატურაში ამ საქმესთან დაკავშირებით დაიკითხა, თუმცა დაკითხვის დღიდან რამოდენიმე კვირის გასვლის მიუხედავად, საქმის მსვლელობის თაობაზე აღარაფერი სმენია.⁴⁴
- 2012 წლის მარტში, „შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრის“ ჟურნალისტი თამარ ხიდაშელი ზემო ნიქოზის საჯარო სკოლაში გადაღებას აწარმოებდა, როდესაც კიბესთან სკოლის დირექტორს მიუახლოვდა. ფირზე ჩანს, თუ როგორ ცდილობდა ჟურნალისტი გადაეცა დირექტორისთვის განცხადება საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე პედაგოგიური საბჭოს სხდომების ოქმებთან, სავარაუდოდ პოლიტიკური მოსაზრებების გამო სკოლიდან გაშვებული მასწავლებლის კვალიფიკაციის დამადასტურებელ ცნობასთან და პედაგოგის განათლების სამინისტროს მიერ შეფასებასთან დაკავშირებით. დირექტორმა უარი განაცხადა განცხადების მიღებაზე და სიტუაცია დაიძაბა. გადაღებული მასალა მოწმობს, თუ როგორ კვრა ხელი დირექტორმა ჟურნალისტს კიბეზე და შენობიდან გააძევა.⁴⁵

⁴⁰ <https://www.youtube.com/watch?v=vxDgr0pHow8>.

⁴¹ http://www.media.ge/stories/politsiam_achara_ps_is_z

⁴² http://www.media.ge/stories/khelmiutsvdomeli_sajaro

⁴³ <http://www.youtube.com/watch?v=iRi5WTzFJVg&list=UUNl86X9LohUlgsPAwigyS-A&index=2&feature=plcp>.

⁴⁴ „საერთაშორისო გამჭვირვალობა -საქართველოს“ ინტერვიუ რეზო ნადირაძესთან.

⁴⁵ <http://qartli.ge/web/3634>

- მეორე შემთხვევაში „შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრის“ ჟურნალისტები, თამარ ხიდაშელი და თამარ ყაჯილაშვილი ასევე ვიდეო კამერების გამოყენებით ცდილობდნენ რეპორტაჟის გაკეთებას სავარაუდოდ ასევე პოლიტიკური შეხედულებების გამო სამსახურიდან დათხოვილი მასწავლებლის თაობაზე. ჟურნალისტები სკოლაში შევიდნენ და დაიწყეს მოსწავლეებისგან და პედაგოგებისგან ვიდეო ინტერვიუების აღება, ეკითხებოდნენ მათ, მართლაც უბრძანეს თუ არა გაშვებული პედაგოგის ხელახლა დაქირავების თაობაზე თხოვნის გატანა. ანალოგიურად, მოხდა სიტუაციის ესკალაცია, როდესაც სკოლის მანდატური შეეცადა ჟურნალისტები შენობიდან გაემევივნა.⁴⁶
- იღებდა რა სასწრაფო დახმარების ბრიგადის მიერ იმ მამაკაცის მკურნალობის პროცესს, რომელსაც პოლიციის მიერ დაჯარიმების შედეგად გული წაუვიდა, „TS პრესის“ ჟურნალისტი შეეცადა იმ საავადმყოფოში შესულიყო, სადაც ეს მამაკაცი მიიყვანეს. საპატრულო პოლიციამ ხელი შეუშალა ჟურნალისტს საავადმყოფოში შესვლაში კონკრეტული მიზეზის დასახელების გარეშე. სიტუაცია ჟურნალისტსა და ოფიცრებს შორის დაიძაბა, და როდესაც მამაკაცი საავადმყოფოდან პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს, პოლიცია ჟურნალისტს ხელს უშლიდა, რათა იგი მათ არ ადევნებოდა.⁴⁷ უშიშროების საბჭოს წარმომადგენელი აცხადებს, რომ ამ შემთხვევაში პოლიციამ ურჩია ჟურნალისტს მოეცადა, სანამ მამაკაცი საავადმყოფოში იმყოფებოდა. როდესაც დაჯარიმებული მამაკაცი გარეთ გამოიყვანეს, ის მაშინათვე გაამგზავრეს პოლიციის განყოფილებაში, რასაც სტანდარტული პროცედურები ითხოვდა.⁴⁸
- ჩოხატაურში ძარცვაში ექვმიტანილი ორი პიროვნების დაპატიმრების დროს პოლიციამ ხელი შეუშალა „გურია ნიუსის“ ჟურნალისტ ნატო გოგელიას გადაეღოთ დაპატიმრების პროცესი. ჟურნალისტები ამტკიცებდნენ, რომ პოლიციის ქმედება იყო არაგონივრული და უკანონო, რადგან პოლიციას ადგილის იზოლირება არ მოუხდენია და მათი ქმედებები სამართლებრივად დაუსაბუთებელი იყო. ჟურნალისტები ასევე ამტკიცებდნენ, რომ პოლიციის თანამშრომლები მათ შეურაცხმყოფელი შინაარსის განცხადებებით მიმართავდნენ, როდესაც ადგილის დატოვება უბრძანეს და მოშორებიდანაც კი განვითარებული მოვლენების გადაღების საშუალება არ მისცეს.⁴⁹
- 11 მაისს GNS სტუდიის რეპორტიორს ბელა ზაქაიძეს და მის ოპერატორს ზურაბ პატარიძეს დუშეთის გამგეობის დაცვის წარმომადგენლებმა გარედან გამგეობის შენობის გადაღება აუკრძალეს. დაცვის წევრებმა ჟურნალისტები შეურაცხმყოფელი ლექსიკით და ცემის მუქარით გაამევეს მოედნიდან, საიდანაც პატარიძე გადაღებას აწარმოებდა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო მოწმობს, რომ როდესაც რეპორტიორებმა შენობაში შესვლა სცადეს, დაცვამ მათ კარები შიგნიდან ჩაუკეტა და

⁴⁶ <http://www.youtube.com/watch?v=jEg9EUvOn4U&list=UUNi86X9LohUlgsPAwigyS-A&index=18&feature=plcp>

⁴⁷ <http://www.youtube.com/watch?v=p2PFXMYIhA>

⁴⁸ „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ შეხვედრა ქ-ნ თამარ კინწურაშვილთან, ეროვნული უშიშროების საბჭო.

⁴⁹ http://gurianews.com/index.php?option=com_content&view=article&id=1715:2011-12-07-05-45-39&catid=122:news-tv&Itemid=185

ადმინისტრაციულ შენობაში შესასვლელი დაუბლოკა.⁵⁰ 21 მაისს ომბუცმენმა მოითხოვა აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიების ჩატარება.⁵¹

- „გურია ნიუსის“ ჟურნალისტების განცხადებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ადგილობრივმა წარმომადგენელმა ჟურნალისტებს პოლიციის შენობის გარეთ გადაღებული მასალა წაუშალა. „გურია ნიუსის“ ცნობით, „მინისტრის განკარგულება კრძალავს შენობის გარედან გადაღებას.“ სხვა შემთხვევაში იგივე პოლიციელმა ნატო გოგელიას და შორენა ლლონტს თხოვა არ გადაეღოთ პოლიციის შენობასთან გამართული ჟურნალისტების საპროტესტო აქცია, რომელიც 2011 წლის ივნისში თბილისში დაკავებული ფოტორეპორტიორების მხარდასაჭერად გურიაშიც გაიმართა.⁵² „მე რატომ მიღებთ, ჯობს იმათ გადაუღოთ, ვინც სამშობლო გაყიდა!“ - განუცხადა ჟურნალისტებს გიგა ჯ.-მ გურიის სამხარეო პოლიციის მაღალჩინოსანმა.⁵³
- თავდაცვის სამინისტროს თანამდებობის პირები ზუგდიდის მაცხოვრებლებთან ატარებდნენ შეხვედრას, რომელზე დასწრების საშუალებაც არ მისცეს ინტერნეტ-გამოცემის Livepress.ge-ს ორ ჟურნალისტს. როდესაც ჟურნალისტები შეხვედრიდან გამოსულ ადგილობრივებს იღებდნენ, თავდაცვის სამინისტროს ესკორტი მათთან ახლოს გაჩერდა და სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმულმა მამაკაცმა, რომელიც მათ ოფიცრად გაეცნო, უთხრა ჟურნალისტებს, რომ მათ მიერ გადაღებული მასალა ეროვნულ ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა და რომ მათ არ ჰქონდათ გადაღების წარმოების უფლება. ოფიცერმა კამერა წაართვა თამარ ზამთარაიას და ჟურნალისტების მიერ გადაღებული მასალა წაშალა. თავდაცვის სამინისტროს პრესსპიკერმა media.ge-ს განუცხადა, რომ წაშლილი იყო მხოლოდ ის სცენები, რომელზეც ოფიცერი იყო აღბეჭდილი. ჟურნალისტების მტკიცებით, მათ აღნიშნული ოფიცერი არ გადაუღიათ და მხოლოდ ადგილობრივ მოსახლეობას იღებდნენ.⁵⁴

ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ სკოლებში გადაღების განსახორციელებლად მათ სკოლის ადმინისტრაციის თანხმობა უნდა მოიპოვონ.⁵⁵

მაუწყებელთა ქვევის კოდექსში, რომელიც მხოლოდ რადიო და სატელევიზიო მაუწყებლობის ლიცენზიის მლობელ სადგურებში მომუშავე ჟურნალისტებს ეხება, მოცემულია გადაღებასთან დაკავშირებული გარკვეული რეგულაციები. კოდექსის 35-ე მუხლში, რომელიც საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელმა კომისიამ ჩამოაყალიბა წერია, რომ „საჯარო ან კერძო დაწესებულებების ტერიტორიაზე ვიდეო-აუდიო ჩანაწერის მოსამზადებლად სავალდებულოა, თანხმობის მიღება შესაბამისი უფლებამოსილი პირისაგან, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მასალის უნებართვოდ მომზადება გამართლებულია

⁵⁰ <http://www.media.ge/en/stories/publicdefenderconcernedw> <http://www.youtube.com/watch?v=U6YMxzZf6k8>

⁵¹ <http://www.media.ge/stories/sakhalkhodamtsvelizhurna>

⁵² დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ: <http://civil.ge/geo/article.php?id=24373&search=>

⁵³ http://gurianews.com/index.php?option=com_content&view=article&id=1539:2011-12-07-05-55-06&catid=122:news-tv&Itemid=185, http://gurianews.com/index.php?option=com_content&view=article&id=2811:qq-&catid=122:news-tv&Itemid=185

⁵⁴ http://www.media.ge/content/zhurnalistebs_0

⁵⁵ „საერთაშორისო გამჭვირვალობა -საქართველოს“ შეხვედრა ქ-ნ თამარ კინწურაშვილთან, ეროვნული უშიშროების საბჭო.

საზოგადოებრივი ინტერესით.“ კოდექსი აგრეთვე განმარტავს, რომ უნებართვო გადაღება გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც არის ალბათობა, რომ ჟურნალისტი ვერ მოიპოვებს სასურველ კადრებს, თუ ინფორმაციას, თუკი ობიექტისგან ღიად მოითხოვს მისი გადაღების ან ჩაწერის ნებართვას, რაც ხაზს უსვამს რომ „სკოლაში, საავადმყოფოში, სასჯელ აღსრულების დაწესებულებაში, პოლიციის განყოფილებაში ან სასწრაფო დახმარების მანქანაში სიუჟეტის მოსამზადებლად, სავალდებულოა თანხმობის მიღება, როგორც უფლებამოსილი პირის, ასევე ადგილზე მყოფი იმ პირებისგან, რომელთა გადაღება ხდება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მასალის უნებართვოდ მომზადება გამართლებულია მაღალი საზოგადოებრივი ინტერესით.“⁵⁶

ბეჭდვითი და ონლაინ მედიის ჟურნალისტებზე, რომლებიც მასალების მოსამზადებლად ვიდეო ჩაწერის მოწყობილობებს იყენებენ კოდექსის მოთხოვნები არ ვრცელდება. აგრეთვე სავარაუდოა, რომ ბევრი რეპორტიორი არ არის ინფორმირებული იმის თაობაზე, თუ ზუსტად რას ითვალისწინებს ეს კოდექსი ან მიაჩნიათ, რომ სირთულეები, რომლებიც მათ წინ ხვდება ადგილობრივი ხელისუფლებისგან და მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი ამართლებს მათ მიერ რეპორტაჟის მომზადების მეთოდებს.

მედიასთან საუბრის შიში

კახეთში და მცხეთა-მთიანეთში „საერთაშორისო გამჭვირვალობა -საქართველომ“ მიაკვლია შემთხვევებს, სადაც ადგილობრივ მოსახლეობაზე მოხდა ზეწოლა მას შემდეგ, რაც მათ ითანამშრომლეს კრიტიკულად განწყობილ მედია საშუალებებთან ან გააკეთეს განცხადებები პოლიტიკურად მგრძობიარე საკითხებთან დაკავშირებით. ეს შემთხვევები შემაშფოთებელია, რადგან შესაძლოა ადგილობრივები დააბრკოლოს მედიასთან ურთიერთობაში.

აპრილში კახეთის საინფორმაციო ცენტრმა ახმეტის მცხოვრებლები ჩაწერა. ჟურნალისტი ეკითხებოდა, უნდა აღუდგეს თუ არა მილიარდერ ბიძინა ივანიშვილს საქართველოს მოქალაქეობა. რამოდენიმე რესპონდენტს, რომლებმაც კითხვაზე უპასუხეს, რომ ბიძინა ივანიშვილს მოქალაქეობა უნდა აღუდგეს, სავარაუდოდ ხელისუფლებასთან დაკავშირებულმა პირებმა მოგვიანებით ურჩიეს თავი შეიკავონ საჯაროდ პოლიტიკაზე კომენტარებისგან (ასეთი კომუნიკაცია შედგა ტელეფონით, მეგობრების ან ნათესავების მეშვეობით). „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ რამოდენიმე ადამიანისაგან მოიპოვა დასტური, რომ მათზე მართლაც განხორციელდა ასეთი ზეწოლა. სხვა რესპონდენტებმა ჩვენთან ამ თემაზე საუბრისგან თავი შეიკავეს, ჩანდა, რომ მათ საუბრის ეშინოდათ.⁵⁷

დუშეთის მუნიციპალიტეტში, მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრში (დაარსდა 2011 წლის ზაფხულში) მომუშავე ჟურნალისტებმა ადგილობრივი მოხელეებისაგან მნიშვნელოვანი შევიწროება განიცადეს. თავიდანვე, ამ ადგილობრივი ინტერნეტ-საშუალების

⁵⁶ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია გადაწყვეტილება N 2, მაუწყებელთა კოდექსის დამტკიცების შესახებ 12 მარტი 2009, http://www.gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=110&info_id=6986

⁵⁷ „საერთაშორისო გამჭვირვალობა -საქართველოს“ ინტერვიუები კახეთში.

თანამშრომლები არაერთხელ გახდნენ ადგილობრივი თანამდებობის პირთა მხრიდან დაშინების ობიექტი.

ცენტრის ოფისის გამჭირავებელი ქალბატონი ზეწოლის მსხვერპლი გახდა, როდესაც იჯარის ხელშეკრულების გაუქმების მოთხოვნით მუქარები მისი ოჯახის წევრებსაც წაუყენეს. ანალოგიურად, როგორც ცენტრის თანამშრომლებმა „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ უამბეს, ცენტრის მიერ დაქირავებულმა ზოგიერთმა თანამშრომელმა რამდენიმე დღეში მას შემდეგ შეწყვიტა მუშაობა, რაც მათი ოჯახის წევრები ასევე დააშინეს, რომ ისინი საჯარო სამსახურს დაკარგავდნენ ან მათ ბიზნესებს პრობლემები შეექმნებოდა, თუკი მათი ნათესავები ჟურნალისტებთან ერთად მუშაობას გააგრძელებდნენ.⁵⁸ ცენტრმა ჟურნალისტები რეგიონის გარეთ დაიქირავა, რათა თანამშრომლები ზეწოლისა და დაშინების მცდელობების წინაშე ნაკლებად მოწყვლადი ყოფილიყვნენ.

ჟურნალისტები დუშეთში მუშაობას ძალზე მტრულ გარემოში აგრძელებენ. ცენტრის თანამშრომლების თანახმად - მანანა ვარდიანი, ქეთი ქაშიაშვილი და გელა მთივლიშვილი - ადგილობრივებს არ სურთ ჟურნალისტებთან საუბარი ან მათთან ერთად გამოჩენა მას შემდეგ, რაც თითქოს ხელისუფლების ორ ადგილობრივ ჩინოსანს ჟურნალისტებთან საუბრის გამო თანამდებობები დაატოვებინეს. კიდევ ერთი ადგილობრივი მაცხოვრებელი ადგილობრივი კომპანიიდან სავარაუდოდ იმიტომ გაათავისუფლეს, რომ მან ჟურნალისტებს თვებით გადაუხედელი სახელფასო დავალიანების შესახებ უამბო.

კახეთის რეგიონში დაფუძნებული რადიო „ჭერეთის“ წარმომადგენელმა, გიორგი ალადაშვილმა „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ განუცხადა, რომ მისი გუნდი წააწყდა სირთულეებს მოქალაქეებისგან მოკლე ინტერვიუების აღებაშიც - ე.წ. vox pop - რადგან ადგილობრივებს ისეთ სოფლებში, როგორცაა ჯუგაანი (თელავის მუნიციპალიტეტი) ეშინოდათ, რომ ინტერვიუს მიცემისთვის მათ წინააღმდეგ ადგილობრივ ხელისუფლებასთან ასოცირებული პირები შესაძლო დევნას განახორციელებდნენ, და რომ მათ სოციალური დახმარება შეუჩერდებოდათ ან საჯარო სამსახურში დასაქმებული მათი ნათესავები სამსახურს დაკარგავდნენ.⁵⁹

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და ადგილობრივი მოხელეები

ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე მედია საშუალებები ხშირად სირთულეებს აწყდებიან საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის კუთხით. ბევრ მუნიციპალიტეტში და სხვადასხვა მედია საშუალებისგან „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ მოისმინა ძირითადად ანალოგიური ისტორიები იმის თაობაზე, რომ ადგილობრივი თანამდებობის პირები მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში ატარებენ პრესკონფერენციებს ან თანხმდებიან ინტერვიუებზე. ამდენად, ადგილობრივ ჟურნალისტებს ძალზე მცირე შესაძლებლობები აქვთ დასვან შეკითხვები ადგილობრივ საკითხებთან დაკავშირებით და მიიღონ ინფორმაცია პირველწყაროებიდან მათ საზოგადოებაში განვითარებული მოვლენების შესახებ, რის გაშუქებასაც ისინი ცდილობენ.

⁵⁸ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ინტერვიუ მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრის თანამშრომლებთან, 2011 წლის აგვისტო.

⁵⁹ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ინტერვიუ გიორგი ალადაშვილთან.

მარტიდან რამოდენიმე ადგილობრივმა სამთავრობო ორგანომ შემოიღო წესები, რომლითაც სამთავრობო დაწესებულებებში შემსვლელი ყველა მოქალაქე, ჟურნალისტის ჩათვლით ვალდებულია მოითხოვოს საშვი. ეს სიახლე შემოიღეს იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც ადგილობრივი მედია განსაკუთრებით ძლიერია (გურიის და ხარაგაულის ჩათვლით) და ინტენსიურად აშუქებს ადგილობრივ მოვლენებს. რეპორტიორები ამბობენ, რომ ახალმა რეგულაციებმა მნიშვნელოვნად გაართულა მათთვის ადგილობრივ ოფიციალურ პირებთან წვდომა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო სხდომებზე დასწრება, რადგან საშვის მოპოვება დროის მცირე მონაკვეთში პრობლემატურია.

ზოგიერთ მუნიციპალიტეტში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სხდომების თარიღები, რომლებიც საზოგადოებისთვის ღია უნდა იყოს, წინასწარ გონივრულ ვადაში საჯაროდ არ ცხადდება. შედეგად რთულდება, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში კი შეუძლებელი ხდება ადგილობრივი მედიის მიერ ამ სხდომებზე დასწრება და მათი გაშუქება.

იმდენად, რამდენადაც ადგილობრივი თვითმმართველობები თავს იკავებენ მედიისთვის მონაცემებისა და კომენტარების არაფორმალურად მიწოდებისგან, როგორც უკანასკნელ იმედს ჟურნალისტები საჯარო ინფორმაციის მოთხოვნას მიმართავენ, რათა მიიღონ მათთვის საინტერესო ინფორმაცია.⁶⁰ თუმცა, ადგილობრივი ხელისუფლებისგან პასუხის დროულად მიუღებლობის შემთხვევაში ჟურნალისტები ხშირად ვეღარ ასრულებენ თემაზე მუშაობას - ან შედეგად ვიღებთ სპეკულაციურ ისტორიებს, რადგან ვერ ხერხდება ადგილობრივ ადმინისტრაციებთან ინფორმაციის გადამოწმება.

„საჯარო ინფორმაციასთან წვდომა ადგილზე საჯარო დაწესებულებიდან უაღრესად პრობლემატურია,“ - ამბობს ჩვენთან საუბარში რეზო ოქრუაშვილი, გორის „ხალხის გაზეთის“ რედაქტორი. მისი აზრით, ადგილობრივი ხელისუფლების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურები არ ცდილობენ ამ პრობლემების მოხსნას, „ყოველთვის ერთი და იგივე ხდება: როდესაც რომელიმე საჯარო ღონისძიებაზე ვცილობთ რამოდენიმე შეკითხვა დავუსვამთ ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარეს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯებთან დაკავშირებით, გვეუბნებიან მივწეროთ ოფიციალური წერილი იმის თაობაზე, რომ ინტერვიუ გვსურს მასთან, ასევე გვეუბნებიან, რომ ამ წერილში კითხვებიც მივუთითოთ, რომელიც გვინდა რომ დავსვამთ, - გვითხრა ოქრუაშვილმა.⁶¹ გურიის, შიდა ქართლის, კახეთის, სამეგრელოს ჟურნალისტებმა მსგავსი ისტორიები გვიამბეს ადგილობრივი ხელისუფლების შესახებ, რომლებიც ხშირად ცდილობენ თავი აარიდონ მედიასთან პირდაპირ კონტაქტს.

Qartli.ge-ს რედაქტორმა, საბა წიწიკაშვილმა გვიამბო, რომ მის რეპორტიორებს ხშირად ექმნებათ პრობლემები რელევანტური საჯარო ინფორმაციის მოპოვებაში. 2011 წლის ნოემბერში მისი გუნდი ცდილობდა გამოემია, თუ როგორ დაიხარჯა ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ გამოყოფილი თანხები ადგილობრივი

⁶⁰ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით ნებისმიერი პირი უფლებამოსილია მოითხოვოს საჯარო ინფორმაციის გაცემა შესაბამისი სახელმწიფო ორგანოსთვის წერილობითი და ხელმოწერილი განცხადებით მიმართვის შედეგად. მოცემულ ორგანოებს მოთხოვნებზე პასუხის გასაცემად ათი სამუშაო დღე აქვთ.

⁶¹ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ინტერვიუ გიორგი ოქრუაშვილთან.

საირიგაციო სისტემის რეაბილიტაციისთვის და თუ რა შედეგი მოყვა ამ კონკრეტულ პროექტს. ჟურნალისტები იძულებულნი იყვნენ შეეჩერებინათ გამოძიება, რადგან მთავრობის კუთვნილმა კომპანიამ „მტკვარი მ“, რომელიც ქვეყნის მასშტაბით არსებული საირიგაციო სისტემების მფლობელია, ინფორმაციის გაცემაზე უარი თქვა.⁶²

შიდა ქართლის მუნიციპალიტეტის საოფისე დანახარჯების დეტალური ანგარიში, საწვავის ხარჯების და სხვა საბიუჯეტო გასაჯლის შესახებ გამოთხოვილი ინფორმაცია ჟურნალისტმა საბა წიწიკაშვილმა მხოლოდ მას შემდეგ მიიღო, რაც ადგილობრივი ხელისუფლება დროებით შეიცვალა 2010 წელს და მუნიციპალიტეტმა ადრინდელთან შედარებით გაცილებით მეტი საჯარო ინფორმაცია გამოაქვეყნა. ჟურნალისტი ამ შემთხვევას გვთავაზობს საილუსტრაციოდ, რომ საჯარო ინფორმაციის გაცემა რეგიონებში დიდწილად დამოკიდებულია პოლიტიკურ ნებაზე და პიროვნებებზე, რომლებიც ამა თუ იმ საჯარო დაწესებულებას უდგანან სათავეში.

კახეთის რეგიონში მოქმედი რადიო „ჰერეთის“ წარმომადგენლის, გიორგი ალადაშვილის განცხადებით, ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მაღალჩინოსნები როგორც წესი უარს აცხადებენ თოქ-შოუებში მონაწილეობაზე და სანაცვლოდ აგზავნიან დაბალი რანგის წარმომადგენლებს, რომლებსაც არ შეუძლიათ პოლიტიკურ საკითხებზე საუბარი და მსმენელთა შეკითხვებზე პასუხის გაცემა.⁶³ ალადაშვილის განცხადებით, „სახელმწიფო ინსტიტუტების ადგილობრივი წარმომადგენლობები ხშირად უარს აცხადებენ ინფორმაციის ზეპირად გაცემაზე და ჟურნალისტებს უთითებენ გაესაუბრონ პრესსპიკერებს თბილისში, რომელთა უმრავლესობაც, რთული დასაკავშირებელია ან ხშირად უარს აცხადებენ კომენტარის გაცემაზე“.⁶⁴

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოსთან“ ადგილობრივი მედია საშუალებების ჟურნალისტების მიერ აღნიშნული გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის უმრავლესობა შეეხებოდა ადგილობრივი ხელისუფლების აქტებს, საჯარო მოხელეთა ხელფასებს და პრემიებს, ადგილობრივ ბიუჯეტებსა და ადგილობრივი პროექტების განმახორციელებელ დაქირავებულ კომპანიებს, მათ შორის პროექტებისა, რომლებიც საერთაშორისო დონორების დახმარებით ან მუნიციპალური განვითარების ფონდის მეშვეობით ხორციელდება. საჯარო სასამართლო დოკუმენტებზე დაშვება კვლავ პრობლემად რჩება, რადგან სასამართლოები ხშირად უარს აცხადებენ მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემაზე, უთითებენ რა პასუხის გასაცემად საჭირო რესურსების არქონაზე.

უმეტეს შემთხვევებში ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები რეაგირებენ მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციაზე. თუმცა, ისინი ამას ხშირად მხოლოდ ხანგრძლივი დაყოვნებისა და ჟურნალისტების დაჟინებული განმეორებითი თხოვნების მიღების შემდეგ აკეთებენ. ოფიციალური პასუხები მეტწილად მოთხოვნილი ინფორმაციის მხოლოდ ნაწილს მოიცავს და ამიტომ ჟურნალისტები იძულებულნი ხდებიან ფორმალური გზით დამატებით გამოითხოვონ საჭირო ინფორმაცია.

⁶² „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ინტერვიუ საბა წიწიკაშვილთან.

⁶³ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ინტერვიუ გიორგი ალადაშვილთან, რადიო „ჰერეთი“.

⁶⁴ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ინტერვიუ გიორგი ალადაშვილთან, რადიო „ჰერეთი“.

არასამთავრობო ორგანიზაცია ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) შეისწავლა თუ როგორ რეაგირებენ სახელმწიფო ინსტიტუტები საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებზე. მათ მიერ ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა დიდი განსხვავებები ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოების ღიაობას შორის. 2011 წელს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებზე რეაგირებისთვის IDFI-ის დადებითი შეფასება დაიმსახურა რამდენიმე მუნიციპალიტეტმა, მათ შორის დმანისის, ჩოხატაურის, ახალციხის, მარტვილის, თელავის, რუსთავის საკრებულომ და სამცხე-ჯავახეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონების ადმინისტრაციებმა. IDFI-ის შეფასებით, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებზე არასათანადოდ რეაგირებდნენ ვანის, სამტრედიის, ხონის, თიანეთის, ცაგერის, ჩხოროწყის, ასპინძის, ბორჯომის, ნინოწმინდის, გარდაბანის, თეთრიწყაროს, კასპისა და ქარელის მუნიციპალიტეტები, ისევე როგორც ქვემო ქართლის რეგიონის ადმინისტრაცია.⁶⁵

ზოგიერთ მუნიციპალიტეტში, როგორც არის დუშეთი და ხარაგაული, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების გადაწყვეტილებას არ გასცენ რაიმე სახის ინფორმაცია საკუთარი საქმიანობის შესახებ და კომენტარი არ გააკეთონ ადგილზე განვითარებული მოვლენების თაობაზე შედეგად მედიასა და ადმინისტრაციებს შორის დაპირისპირება მოყვა.

პარლამენტის წინაშე წარდგენილ 2011 წლის ანგარიშში სახალხო დამცველმა გიორგი ტულუშმა ხაზი გაუსვა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ნაკლებობას და განმეორებით სთხოვა პარლამენტს საჯარო დოკუმენტების გაცემაზე უკანონო უარისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შემოღება.⁶⁶

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებზე გაცემულ პასუხებში ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები ზოგჯერ აღნიშნავენ, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია საიდუმლოს წარმოადგენს ან არ არსებობს, და რომ მისი გაცემა არ შეიძლება. პასუხებში ისინი ხშირად ვერ უთითებენ ინტერნეტში განთავსებულ სახელმწიფო მონაცემთა ბაზებზე, სადაც ეს ინფორმაცია უკვე გამოქვეყნდა. როგორც ჩანს ადგილობრივი ხელისუფლების მრავალი თანამშრომელი სრულყოფილად არ იცნობს ინტერნეტში განთავსებულ ყველა რესურსს და საქართველოს სახელმწიფო ორგანოების მიერ იქ გამოქვეყნებულ მონაცემებს.

ანალოგიურად, ბევრი ჟურნალისტი შესაძლოა სრულად არ იცნობდეს საჯარო დოკუმენტების შემცველ ყველა მონაცემთა ბაზას, რომლებიც ინტერნეტში თავისუფლად არის ხელმისაწვდომი. მონაცემთა არსებული ბაზები შეიცავს საჯარო მოხელეთა ქონების დეკლარაციებს,⁶⁷ ინფორმაციას იურიდიულ პირთა შესახებ,⁶⁸ მიწისა და უძრავი ქონების რეესტრს,⁶⁹ 2010 წლის დეკემბრის შემდეგ გაკეთებულ სატენდერო განცხადებებს და შესყიდვების სფეროში დადებულ კონტრაქტებს,⁷⁰ და კანონებს – მათ შორის ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიერ გამოცემულ ბევრ, თუმცა არა ყველა ბრძანებას, რომლებიც

⁶⁵<http://www.idfi.ge/?cat=main&topic=222&lang=en&header=Presentation%20of%20the%20Results%20of%20the%20Project%20%E2%80%9CPublic%20Information%20Database%20%E2%80%93%20www.opendata.ge%E2%80%9D>.

⁶⁶ http://www.media.ge/en/stories/public_defender_requests.

⁶⁷ <http://www.declarations.ge>.

⁶⁸ https://enreg.reestri.gov.ge/main.php?exit_url=https://public.reestri.gov.ge.

⁶⁹ <http://napr.gov.ge/index.php?m=222>.

⁷⁰ <http://procurement.gov.ge/>.

„მაცნეს“ სამართლებრივ მონაცემთა ბაზაშია გამოქვეყნებული. „მაცნეს“ ვებგვერდზე ასევე ხელმისაწვდომია ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტები.⁷¹

ადგილობრივი ბიუჯეტების დეტალების ფორმა და ხარისხი განსხვავდება მუნიციპალიტეტების მიხედვით, და ამდენად ჟურნალისტებს შესაძლოა დასჭირდეთ დამატებითი ინფორმაცია კონკრეტული ადგილობრივი პროექტებისათვის გამოყოფილი ფინანსების შესახებ. არსებული ელექტრონული მონაცემების უკეთ გამოყენება საშუალებას მისცემდა ჟურნალისტებს მოეთხოვათ უფრო დაზუსტებული ინფორმაცია, რაც თავის მხრივ სახელმწიფო ორგანოების მიერ შესასრულებელი სამუშაოების მოცულობასაც შეამცირებდა.

საჯარო ფინანსები მედიის საქმიანობისთვის⁷²

ბევრი ადგილობრივი და რეგიონული სახელისუფლებო ორგანოები საკუთარი ბიუჯეტებიდან გამოყოფენ მნიშვნელოვან ფინანსებს მედიის საქმიანობისთვის, მათ შორის ადგილობრივი ტელევიზიების, ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ან კერძო მფლობელობაში მყოფი გაზეთების მხარდასაჭერად.

რეგიონულმა და ადგილობრივმა ხელისუფლების ორგანოებმა მედიის საქმიანობისათვის 2012 წელს სულ 8.56 მილიონი ლარი დახარჯეს. ეს მონაცემი კი 2011 წლის 7.47 მილიონ ლართან და 2010 წელს დახარჯულ 7.83 მილიონ ლართან შედარებით მნიშვნელოვანი ზრდაა.

მედიის საქმიანობისთვის ფინანსების ყველაზე დიდი ოდენობა დღემდე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ გამოყო. აჭარის მთავრობამ ბიუჯეტში 2012 წელს სულ გამოყო 6.88 მილიონი ლარი, რომელიც ადგილობრივი მთავრობის საკუთრებაში არსებულ და მოქმედ მედიის ორ საშუალებას უნდა გამოეყოს – აჭარის ტელევიზიას და ყოველდღიურ გაზეთს „აჭარა და ადჭარია“ (დამატებითი დეტალებისთვის იხილეთ ქვემოთ მოცემული ნაწილის აჭარის შესახებ). თბილისში აფხაზეთის დევნილობაში მყოფ მთავრობას მედიის საქმიანობისთვის 250,000 ლარი აქვს გამოყოფილი.

ადგილობრივმა მუნიციპალიტეტებმა საკუთარი ბიუჯეტებიდან მედიისთვის და საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროს საქმიანობისათვის სულ 1.43 მილიონი ლარი გამოყვეს (2010: 1.24 მილიონი ლარი; 2011: 1.17 მილიონი ლარი).

⁷¹ <http://matsnet.gov.ge>.

⁷² საქართველოს მუნიციპალიტეტების მიერ 2010-2012 წლების ბიუჯეტების შესაბამისად მედიისთვის გამოყოფილი ფინანსების შესახებ უფრო დეტალური სია, ისევე როგორც ყველა ბიუჯეტის ბმულები ხელმისაწვდომია შემდეგ ინტერნეტ-მისამართზე: https://docs.google.com/spreadsheet/ccc?key=0ArMfBMsTygK_dHpaNTZGOHVKemE2Q01tU3NUbjBXaIE.

ხელისუფლების რეგიონული და ადგილობრივი ორგანოების მიერ მედიისა და საინფორმაციო საქმიანობისთვის გამოყოფილი თანხები (2010-2011, და 2012 წლისთვის გამოყოფილი თანხები, ადგილობრივი ბიუჯეტების შესაბამისად):⁷³

	რეგიონი	მუნიციპალიტეტი/ წყარო	დანიშნულება/ბიუჯეტის მუხლი	2010 (1,000 ლარი)	2011 (1,000 ლარი)	2012 (1,000 ლარი)
1	აჭარის ა/რ	აჭარის ა/რ	აჭარის ტელევიზია, გაზეთი „აჭარა და ადჟარია“	6,347.6	6,046.1	6,877.8
2	აფხაზეთის ა/რ	აფხაზეთის ა/რ	აფხაზეთის მოქალაქეებისათვის ინფორმაციის მიწოდება	249.9	250	250
3	იმერეთი	ქუთაისი	სატელევიზიო-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	78.1	122.2	150
4	ქვემო ქართლი	ბოლნისი	სამაუწყებლო და საგამომცემლო საქმიანობა, „გაზეთი ბოლნისი“	221.8	130	136.8
5	კახეთი	გურჯაანი	სამაუწყებლო და საგამომცემლო საქმიანობა, მუნიციპალიტეტის გაზეთი	71.4	93.5	125
6	იმერეთი	სამტრედია	სამაუწყებლო და საგამომცემლო საქმიანობა	81.5	81.3	84
7	შიდა ქართლი	გორი	არაკომერციული გაზეთი „გორის მაცნე“, სამაუწყებლო და საგამომცემლო საქმიანობა, „იმედი თი-ვის“ შოუ „გმირები“	72	73	74
8	იმერეთი	საჩხერე	სამაუწყებლო და საგამომცემლო საქმიანობა, შპს „იმერვიზიას“	67.8	68.2	71

⁷³ ყველა მონაცემი აღებულია matsne.gov.ge-ს სამართლებრივი მონაცემების ბაზიდან 2012 წლის 10 მარტიდან 15 მარტამდე პერიოდში. მუნიციპალიტეტებს, რომლებიც არ არის ცხრილში მოცემული, არ აქვთ საბიუჯეტო მუხლები მედიისთვის გამოყოფილი ფინანსების თაობაზე, მაგრამ შესაძლოა მათ ზოგიერთ შემთხვევაში გამოყონ თანხები ბიუჯეტის სხვა მუხლებიდან მედიისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მიზნებისთვის. „მაცნეს“ მონაცემთა ბაზაში ვერ მოვიპოვეთ ინფორმაცია მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესახებ. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ <http://goo.gl/H8p1a>.

			დაფინანსება და ორგანიზაცია „მასმედია“			
9	სამეგრელო და ზემო სვანეთი	ზუგდიდი	სამაუწყებლო და საგამომცემლო საქმიანობა	17.8	7.8	65
10	იმერეთი	ხონი	სამაუწყებლო და საგამომცემლო საქმიანობა	38.9	50.5	58
11	კახეთი	დედოფლის წყარო	სამაუწყებლო და საგამომცემლო საქმიანობა, პრეს სერვისი	29.7	29.6	50.9
12	სამეგრელო და ზემო სვანეთი	ხოზი	ადგილობრივი ხელისუფლების საკუთრებაში არსებული გაზეთი „ხოზის მოამბე“	0	40	45.5
13	სამცხე-ჯავახეთი	ნინოწმინდა	სამაუწყებლო და საგამომცემლო საქმიანობა	38	38	45
14	იმერეთი	ტყიბული	სამაუწყებლო და საგამომცემლო საქმიანობა	39	31.8	40
15	ქვემო ქართლი	მარნეული	სამაუწყებლო და საგამომცემლო საქმიანობა	40	40	40
16	იმერეთი	თერჯოლა	სამაუწყებლო და საგამომცემლო საქმიანობა	0	39.9	40
17	იმერეთი	ხარაგაული	სამაუწყებლო და საგამომცემლო საქმიანობა	28.3	36.4	36
18	გურია	ლანჩხუთი	საზოგადოებასთან ურთიერთობასა და გამოცემებზე პასუხისმგებელი ადგილობრივი ხელისუფლების სუბიექტი	35.3	36.9	35.6
19	კახეთი	ახმეტა	სამაუწყებლო და საგამომცემლო საქმიანობა	26.5	30	30
20	კახეთი	ლაგოდეხი	სამაუწყებლო და საგამომცემლო საქმიანობა	48.3	22.4	30

21	სამეგრელო და ზემო სვანეთი	აბაშა	არაკომერციული გაზეთი „აბაშის მაცნე“	17.6	23.2	26.8
22	სამცხე-ჯავახეთი	ასპინძა	მუნიციპალიტეტის ოფიციალური გაზეთი „ასპინძის მაცნე“	15	21.3	26
23	სამეგრელო და ზემო სვანეთი	მარტვილი	სამაუწყებლო და საგამომცემლო საქმიანობა	27.3	11.9	26
24	კახეთი	საგარეჯო	სამაუწყებლო და საგამომცემლო საქმიანობა	16	21	24.5
25	რაჭა-ლ./ქვ. სვანეთი	ლენტეხი	სამაუწყებლო და საგამომცემლო საქმიანობა	17	20.4	20
26	სამცხე-ჯავახეთი	ბორჯომი	საინფორმაციო მომსახურება	18.4	16.2	20
27	კახეთი	თელავი	სამაუწყებლო და საგამომცემლო საქმიანობა	18	11	20
28	გურია	ოზურგეთი	მედიის ბიუჯეტი	0	20.5	16.5
29	სამცხე-ჯავახეთი	ახალქალაქი	მაუწყებლობა, პირველი არხის „მომამბის“ სომხურად თარგმნა	0	0	16
30	კახეთი	სიღნაღი	სამაუწყებლო და საგამომცემლო საქმიანობა	19.6	9.5	14.9
31	მცხეთა-მთიანეთი	დუშეთი	სამაუწყებლო და საგამომცემლო საქმიანობა	12	11	12
32	იმერეთი	ბაღდათი	სამაუწყებლო და საგამომცემლო საქმიანობა	5.8	10	10
33	რაჭა-ლ./ქვ. სვანეთი	ონი	სამაუწყებლო და საგამომცემლო საქმიანობა	16.1	7.3	7
34	რაჭა-ლ./ქვ. სვანეთი	ამბროლაური	გაზეთის გამოცემა	7.5	6.9	7
35	იმერეთი	წყალტუბო	სამაუწყებლო და საგამომცემლო საქმიანობა	2.7	5	7
36	რაჭა-ლ./ქვ.	ცაგერი	სამაუწყებლო და	10.3	4.1	6.5

	სვანეთი		საგამომცემლო საქმიანობა			
37	გურია	ჩოხატაური	მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრის ფუნქციონირება	0	0	6.5
38	სამცხე- ჯავახეთი	ადიგენი	სარეკლამო ხარჯები	0	0	4.5
39	აჭარა	ბათუმი	ლიკვიდირებული „ბათუმური ქრონიკების“ გამოცემა	99.2	0	0
	სულ		მედიისა და საინფორმაციო საქმიანობისთვის ხარჯები	7,834.3	7,466.9	8,555.8

რიგი მუნიციპალიტეტებისა გამოსცემს ხელისუფლების საკუთრებაში არსებულ გაზეთებს, რომლებიც ავრცელებენ ინფორმაციას ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობის შესახებ. ზოგიერთ შემთხვევაში, მოცემული სახელისუფლებო გამოცემები უკანასკნელი წლების განმავლობაში დაარსდა.

- 2011 წელს **გურჯაანის** მუნიციპალიტეტის დადგენილებით არაკომერციული იურიდიული პირი „გურჯაანის მუნიციპალური მაცნე“ დაფუძნდა. გაზეთის დირექტორი თავად გურჯაანის გამგებელმა დანიშნა. ხელისუფლების მიერ კონტროლირებული გამოცემის დანიშნულებას ადგილობრივი ხელისუფლების საზოგადოებასთან ურთიერთობების ფუნქციის შესრულება წარმოადგენს. ამ მომსახურებისთვის „მაცნემ“ ადგილობრივი ბიუჯეტიდან 25,000 ლარი მიიღო.⁷⁴ უკანასკნელი წლების განმავლობაში სამაუწყებლო და ბეჭდვითი მომსახურებისთვის გურჯაანმა 71,400 ლარი (2010), 41,100 ლარი (2011) და 40,000 ლარი (2012) გამოყო.
- **ასპინძაში**, მუნიციპალიტეტის ოფიციალურმა გაზეთმა „ასპინძის მაცნემ“ დაფინანსება 15,000 ლარის ოდენობით 2010 წელს, 21,300 ლარი 2011 წელს და 26,000 ლარი 2012 წელს მიიღო.⁷⁵
- შპს „სამტრედიის მაცნე“ იმერეთის რეგიონში **სამტრედიის** მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული გაზეთია. სამტრედიის ბიუჯეტმა სამაუწყებლო და ბეჭდვითი მომსახურებისთვის 81,500 ლარი (2010), 81,300 ლარი (2011) და 84,000 ლარი (2012) გამოყო.⁷⁶

⁷⁴ არაკომერციული პირი „გურჯაანის მუნიციპალური მაცნე“ გურჯაანის საკრებულოს #19 ბრძანებისა და მუნიციპალური ქონების საფუძველზე 2011 წლის 11 მარტს შეიქმნა. 2011 წლის 7 აპრილს გურჯაანის გამგებლის #283 ბრძანების საფუძველზე ასმათ ნიკოლაიშვილი გაზეთის დირექტორად დაინიშნა და მისი ხელფასი 500 ლარით განისაზღვრა.

⁷⁵ https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=1536747#.

⁷⁶ https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=1528932#.

- „ხოზის მოამბეს“, ადგილობრივი ხელისუფლების გაზეთს **ხოზში**, 2011 წელს 40,000 ლარი, ხოლო 2012 წელს 45,500 ლარი გამოუყვეს.⁷⁷
- ბოლო სამი წლის განმავლობაში **გორის** ადმინისტრაციამ წელიწადში 30,000 ლარი გამოუყო არაკომერციულ პირს „გორის მაცნეს“, და დამატებით 42,000 ლარით ყოველწლიურად დააფინანსა „სამაუწყებლო და საგამომცემლო მომსახურება“. 2011 წელს, ადმინისტრაციამ ასევე დაასპონსორა „იმედის“ გადაცემა „გმირები“ 1,000 ლარით; ადგილობრივი ბიუჯეტიდან ამავე მიზნით 2012 წელს გამოიყო 2,000 ლარი.⁷⁸ აღნიშნული დაფინანსება არღვევს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონს, რომელიც სახელისუფლებო ორგანოებს სატელევიზიო პროგრამის სპონსორობას უკრძალავს.

საქართველოს რეგიონული მედიის ასოციაციის თავმჯდომარის ია მამალაძის განცხადებით მუნიციპალიტეტების მიერ განხორციელებული დაფინანსების პროცესი ყოველთვის არ არის თანაბარი და გამჭვირვალე. 2010 წელს მამალაძის გაზეთმა, „გურია ნიუსი“, მონაწილეობა მიიღო ადგილობრივი მუნიციპალიტეტის განცხადებების გამოქვეყნებასთან დაკავშირებულ ტენდერში. „ჩვენთვის ნათელი იყო, რომ ვერ შევძლებდით ხელშეკრულების მოგებას, ამიტომ გადავწყვიტეთ არსებული სისტემის გამოცდა და ადგილობრივ ხელისუფლებას განცხადებების უფასოდ გამოქვეყნება შევთავაზეთ. ტენდერი სხვა გამომცემლობამ, გურიის მოამბემ, მოიგო. როდესაც ვიკითხეთ მიზეზის შესახებ, გვიპასუხეს, რომ მეორე გამომცემლობამ საბუთები ჩვენზე ადრე შეიტანა“.⁷⁹

2010 წლის დეკემბრიდან ხელისუფლების მიერ ტენდერი ელექტრონული ფორმით ერთიან ვებგვერდის www.procurement.gov.ge დახმარებით ხორციელდება, სადაც გაფორმებული ხელშეკრულებების ნახვა არის შესაძლებელი. მედიასთან დაკავშირებული მოწოდებული მომსახურების კონტრაქტების ანალიზის საფუძველზე „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ დაადგინა, რომ რამდენიმე ასეთ კონტრაქტებს ხშირად შეისყიდიან ელექტრონულად, გამარტივებული ტენდერის გამოყენებით, რომელიც მხოლოდ სამი სამუშაო დღის განმავლობაში იძლევა შეთავაზებების გაკეთების საშუალებას.⁸⁰

შეთავაზებებისთვის გამოყოფილი მოკლე პერიოდის შედეგად, ასეთი ტენდერების მხოლოდ ერთეული პროცესებია ჭეშმარიტად კონკურენტული - უმრავლეს შემთხვევებში განაცხადი მხოლოდ ერთ მონაწილეს შეაქვს. სხვა მიზეზი შესაძლებელი იყოს ასევე რეგიონებში ტენდერში პოტენციური მონაწილეები ყოველთვის არ არიან ინფორმირებული თავიანთი მუნიციპალიტეტების მიერ გამოცხადებული ტენდერების თაობაზე.

⁷⁷ https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=1551548#.

⁷⁸ https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=1546536#.

⁷⁹ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ ინტერვიუ ია მამალაძესთან, 2012 წლის მარტი.

⁸⁰ შეზღუდვა ტენდერის სამი სამუშაო დღის განმავლობაში ჩატარების თაობაზე ცოტა ხნის წინ დაწესდა. ადრე ტენდერის ჩატარების მინიმალური ვადა სამი დღე იყო დასვენების დღეების ჩათვლით, რაც საშუალებას იძლეოდა ტენდერის პარასკევს საღამოს გამოცხადებისა და განცხადებების შეტანის ბოლო ვადის ორშაბათ დღით დაწესებით.

სამთავრობო გაზეთები დამოუკიდებელ მედიას კონკურენციას უწევენ

ადგილობრივი ხელისუფლებების მიერ მედია პროექტებზე დახარჯული თანხები არც თუ ისე დიდია, თუმცა მუნიციპალიტეტებში, სადაც ხელისუფლების მიერ სუბსიდირებული მედია კონკურენციას უწევს კერძო მფლობელობაში არსებულ საშუალებებს, სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი დაფინანსება ხშირად კონკურენციას არღვევს და დამოუკიდებელი მედია კომპანიების მდგრადობას საფრთხეს უქმნის.

ხარაგაული არის ერთ-ერთი მაგალითი, სადაც მედიის სფეროში ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გახარჯული თანხების შედეგად მედია გარემო დაზიანდა. იქ ადგილობრივი გაზეთი დამოუკიდებლად ახერხებდა გაემუქებინა ადგილობრივი მოვლენები და საკუთარი არსებობა შეენარჩუნებინა - მანამ, სანამ ადგილობრივმა ხელისუფლებამ საკუთარი გაზეთის გამოცემა არ დაიწყო.

ხარაგაულის მაგალითი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის რაოდენობაა 27,500 და იქ ორი ყოველკვირეული გაზეთი გამოდის.⁸¹

1998 წელს ლაურა გოგოლაძემ დააფუძნა გაზეთი „ჩემი ხარაგაული“. ლაურა გოგოლაძე დღესაც ამ გაზეთის მესაკუთრე და რედაქტორია. გოგოლაძის განცხადებით, მისი გაზეთის ყოველკვირეული ტირაჟია 1,800 და ის დაახლოებით 1,700 ხელმომწერზე ვრცელდება.

გოგოლაძის შეფასებით, ხუთი ან ექვსი ადამიანი მისი გაზეთის ერთ ასლს კითხულობს და ამდენად მას დაახლოებით 9,000 მკითხველი ჰყავს. საქართველოს სტანდარტებისთვის მკითხველთა ასეთი დიდი რაოდენობის მისაღწევად გოგოლაძე რეგიონის სოფლებს მრავალჯერ ესტუმრა. იგი გაზეთს უფასოდ არიგებს და ადგილობრივებთან იხილავს რეგიონში განვითარებულ მოვლენებს, რომლებსაც „ჩემი ხარაგაული“ აშუქებს. ამგვარად იგი ახერხებს დაარწმუნოს ადამიანები, რათა გაზეთის ხელმომწერები გახდნენ.

გოგოლაძე ამბობს, რომ მისი გაზეთი ცდილობს სამართლიანად და პოლიტიკური მიკერძოების გარეშე წარმოაჩინოს მუნიციპალიტეტში განვითარებული მოვლენები. „მე მყავს მკითხველები, რომლებიც მთავრობას მხარს უჭერენ, რომლებიც ოპოზიციაში არიან, და რომლებიც ნეიტრალურად არიან განწყობილნი. მე მინდა ისინი ყველა ბედნიერი იყვნენ და არ მსურს ჩვენი გაზეთი მიკერძოებულად ჩათვალონ, რათა მერე ორივე მხარეს მყოფი ხელმომწერები არ დავკარგო“, ამბობს გოგოლაძე.

ორი წლის მანძილზე „ჩემი ხარაგაული“ კონკურენციას უწევს „ახალი ხარაგაული“. გაზეთი ადგილობრივმა ხელისუფლებამ (საკრებულომ) 2009 წელს დააარსა, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს).⁸² 2011 წელს „ახალი ხარაგაული“ არასამეწარმეო პირი გახდა და მისი დირექტორი საკრებულოს ბრძანების საფუძველზე დაინიშნა.

⁸¹ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემი.

⁸² ხარაგაულის საკრებულოს 2011 წლის 3 იანვრის #6 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა „ახალი ხარაგაული“ და დაინიშნა დირექტორი.

მუნიციპალიტეტმა 2011 წელს 37,600 ლარი,⁸³ ხოლო 2012 წელს 36,000 ლარი გამოყო საგამომცემლო საქმიანობისთვის და ეს დაფინანსება „ახალ ხარაგაულს“ პირდაპირი ხელშეკრულების საფუძველზე უკონკურენტოდ ერგო წილად.⁸⁴

„1998 წლიდან ჩვენ სტაბილური შემოსავალი გვქონდა, რომელიც ფუნქციონირებისათვის საკმარისი იყო. მაგრამ უკანასკნელ წელს ჩვენ IREX-ის გრანტის გარეშე ვერ გავატანდით“,⁸⁵ ამბობს გოგოლაძე. მის თანახმად, ადგილობრივი ხელისუფლების ფასიანი განცხადებები გაზეთისთვის ყოველთვის მნიშვნელოვანი შემოსავლის წყარო იყო. მაგრამ მას შემდეგ, რაც ხელისუფლებამ „ახალი ხარაგაული“ დააარსა, ყველა ფასიანი საჯარო განცხადება ხელისუფლების მიერ კონტროლირებად მათ კონკურენტს გადაეცა.

უფრო მეტიც, „ჩემი ხარაგაულის“ შემოსავლის მნიშვნელოვანი წყარო, მცირე ზომის თემატური განცხადებები საგრძნობლად შემცირდა. მცირე ზომის თემატურ განცხადებებს „ახალი ხარაგაული“ მოსახლეობას უფასოდ სთავაზობს. „რადგან ეს გამოცემა პირდაპირი წესით სუბსიდიებს იღებს ადგილობრივი ხელისუფლებიდან, მხოლოდ ამიტომ ახერხებს მსგავსი უფასო მომსახურება შესთავაზოს მომხმარებელს“ – აცხადებს ლაურა გოგოლაძე.⁸⁶

დისტრიბუტორებზე ზეწოლა

როდესაც „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ „ჩემი ხარაგაულის“ ოფისს ესტუმრა, რომელიც ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს შენობის მიმდებარედ არის განლაგებული, გაზეთის ოფისში მოხუცი მამაკაცი შემოვიდა, რომელმაც გაზეთის გამოწერის შესაძლებლობა მოიკითხა. „ჩვენ გვინდა ახალი ამბების გაცნობა. დემოკრატიაში ყველაფერი ღია უნდა იყოს“, განუცხადა მან „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“. გაზეთის ოფისის დატოვებიდან რამდენიმე წუთში იგი დაბრუნდა და განაცხადა, რომ მას დაურეკეს და ურჩიეს უცხო ხალხთან არ ესაუბრა.

გოგოლაძის თქმით, მისი თანამშრომლები არაერთხელ დაუშინებია სოფლის რწმუნებულს, გუბერნატორის წარმომადგენელს სოფლებში, რის შედეგად მისმა ზოგიერთმა თანამშრომელმა მუშაობა შეწყვიტა. „დისტრიბუტორების შეცვლა რამდენჯერმე მომიწია. ბოლოს ეს ადგილობრივებმა თვითონ გააპროტესტეს. მათი თქმით, „რატომ არ გვამლევენ იმ გაზეთის კითხვის საშუალებას, რომელიც მოგვწონს?“, ამბობს გოგოლაძე.

მისი გაზეთი პროდუქტების ადგილობრივ მაღაზიებშიც იყიდება. „მაღაზიის მფლობელები ჩვენს გაზეთებს მაღავენ და ღიად არ დებენ, რადგან იციან, რომ ადგილობრივ ხელისუფლებას არ სიამოვნებს ის ფაქტი, რომ საზოგადოება ჩვენს გაზეთს კითხულობს“, ამბობს გოგოლაძე. რიც სოფლებში, მათ შორის ბორითსა და გორეშაში ხელმომწერები დროებით ვერ იღებდნენ გაზეთს მას შემდეგ, რაც ადგილობრივი ხელისუფლების ორმა ჩინოსანმა დააშინა გაზეთის ადგილობრივი დისტრიბუტორები, რომლებმაც მუშაობა

⁸³ https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=1156854.

⁸⁴ https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=1527171

⁸⁵ USAID-ის მიერ დაფინანსებული GMedia პროგრამა, რომელსაც IREX ახორციელებს, ასევე აფინანსებს წინამდებარე ანგარიშს და „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ საქმიანობას მედია სექტორთან დაკავშირებით.

⁸⁶ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ინტერვიუ ლაურა გოგოლაძესთან.

შეწყვიტეს; გოგოლაძის თქმით, ადგილობრივი მაღაზიის მესაკუთრეებმა უარი განაცხადეს „ჩემი ხარაგაულის“ გაყიდვაზე მას შემდეგ, რაც აღნიშნულთან დაკავშირებით გაფრთხილება მიიღეს.

კერძო გაზეთისთვის ადგილობრივი ხელისუფლებისგან ინფორმაციის მიღება მას შემდეგ გართულდა, რაც ასპარეზზე სახელისუფლებო კონკურენტი გამოჩნდა. გოგოლაძის მტკიცებით, მის გაზეთს აღარ აწვდიან ინფორმაციას ადგილობრივი ჩასატარებელი ღონისძიებების შესახებ, რომელსაც ის მანამდე იღებდა - ახლა ადგილობრივები ამ ინფორმაციას პირველად ხელისუფლების გაზეთიდან გეზულობენ, რითიც „ჩემი ხარაგაული“ არახელსაყრელ კონკურენტულ მდგომარეობაში ვარდება.

რაც შეეხება **საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას**, ხარაგაულში ადგილობრივ ხელისუფლებას საშუალო დონის რეპუტაცია აქვს, გაუმჯობესების შესაძლებლობით. ლაურა გოგოლაძის შეფასებით, მისი გაზეთის მიერ შეტანილი საჯარო ინფორმაციის მოთხოვნების დაახლოებით 90 პროცენტი საბოლოო ჯამში დაკმაყოფილდა. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში მოთხოვნილი ინფორმაცია რამდენიმე კვირის დაყოვნების შემდეგ გაიცა, და მხოლოდ დაჟინებული და განმეორებითი მოთხოვნების შემდეგ. გოგოლაძე იხსენებს, რომ ერთ შემთხვევაში ადგილობრივი ხელისუფლების მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ ზუსტი სტატისტიკა მან მხოლოდ თბილისიდან პარლამენტის ადმინისტრაციის ჩარევის შემდეგ მიიღო. სხვა შემთხვევაში, ახალი წლის ღონისძიებებთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის ხარჯების თაობაზე ინფორმაცია მან მხოლოდ მას შემდეგ მიიღო, რაც „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე ინფორმაციის გაცემაზე უარი გამოაქვეყნა,⁸⁷ რასაც ონლაინ დისკუსია და შედეგად ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მოთხოვნილი მონაცემების გაცემა მოყვა.

გურიის მაგალითი

გურიის რეგიონში ოზურგეთის მუნიციპალიტეტი ადგილობრივი ხელისუფლების ერთადერთი ორგანოა, რომელმაც ფინანსები საგამომცემლო და მედიის საქმიანობისთვის გამოყო (10,700 ლარი 2012 წელს).⁸⁸ ამ სასოფლო და მთიან რეგიონში მკითხველთა გულის მოსაგებად ერთმანეთს „გურია ნიუსი“, „გურიის მოამბე“ და რამდენიმე სხვა გამოცემა ეჯიბრება.

„გურია ნიუსი“ დისტრიბუციის რაფინირებული სისტემის ჩამოყალიბება შეძლო. გაზეთი, რომელიც კვირაში ორჯერ გამოდის, რეგიონის მასშტაბით სოფლებში ვრცელდება. ადგილობრივი დისტრიბუტორები თითოეულ სოფელში მოქმედებენ, როგორც გაზეთის წარმომადგენლები და იღებენ შემოსავალს თითოეული ახალი ხელმომწერისთვის. გაზეთმა ასევე შემოიღო პლასტიკური ბონუს ბარათი, რომლის საშუალებით დიდი ხნის ხელმომწერები (ის ხელმომწერები, რომლებიც გაზეთს ექვსი თვეზე მეტი ხნის განმავლობაში იწერენ) გაზეთთან ასოცირებულ ადგილობრივ მაღაზიებში ფასდაკლებებით სარგებლობენ.

⁸⁷ იხილეთ

<https://www.facebook.com/photo.php?fbid=309062779138386&set=a.193635720681093.51104.100001040005261&type=1&heater>.

⁸⁸ https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=1533434#

თუმცა, დისტრიბუციასთან მიმართებაში სირთულეებს „გურია ნიუსიც“ აწყდება, აცხადებს გაზეთის მესაკუთრე ია მამალაძე. მამალაძის თქმით, მისმა ორმა დისტრიბუტორმა მუშაობა მას შემდეგ შეწყვიტა, რაც გავრცელდა ხმები, თითქოს გაზეთის მკითხველებს ხელისუფლება ოპოზიციის მომხრეებად აღიქვამდა. შედეგად, ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილი უარს ამბობდა „გურია ნიუსისთვის“ პირადობის მოწმობის მონაცემები გაცემაზე, რაც ხელმოწერისთვის აუცილებელი პროცედურაა, იმის შიშით, რომ შემდეგ ეს მონაცემები არ გამოიყენოს ოპოზიციურმა კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“. კოალიცია რეკლამას აკეთებს „გურია ნიუსში“. ასევე ზოგიერთი მაღაზიის წარმომადგენელი თავდაპირველად დათანხმდა, მაგრამ შემდეგ უარი განაცხადა გაზეთების გაყიდვაზე.⁸⁹

მამალაძის თქმით, გაზეთის ჟურნალისტები დიდ სირთულეებს აწყდებიან ადგილობრივი ხელისუფლების თანამდებობის პირებისგან ადგილობრივ საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციისა და კომენტარების მიღებისას. მისი განცხადებით, ის ვერ იხსენებს უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ადგილობრივი გუბერნატორის მიერ ჩატარებულ ვერც ერთ პრესკონფერენციას. გურიაში ჩადენილი დანაშაულების გამოძიების გაშუქებისას ადგილობრივი პოლიციელები გაზეთის ჟურნალისტებს ხშირად თბილისში, შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსპიკერთან ამისამართებდნენ და უარს აცხადებდნენ საქმეებთან დაკავშირებით კომენტარის გაცემაზე.⁹⁰ მარტში შემოღებულმა ახალმა რეგულაციამ, რომლის თანახმადაც ნებისმიერი მოქალაქე, მათ შორის ჟურნალისტები, მხოლოდ საშვის მიღების შემთხვევაში დაიშვებიან ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში, კიდევ უფრო ჩაკეტილი გახდა რეგიონული მუნიციპალიტეტები.

გამოძიების მიერ ჯერ არ არის რაიმე კონკრეტული შედეგი მოწოდებული გაზეთ გურია ნიუსის ოფისზე 2010 განხორციელებული თავდასხმის თაობაზე, რომელმაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

აჭარის მაგალითი

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ბათუმში დაფუძნებულ ყოველკვირეულ ჯილდოთი აღნიშნულ გაზეთს „ბათუმელები“ და ადგილობრივ სატელევიზიო არხს ტელე 25–ს კონკურენციას ხელისუფლების მიერ დაფინანსებული ორი მედია საშუალება უწევს. ერთი მათგანი არის ხელისუფლების კუთვნილი რეგიონული გაზეთი „აჭარა და ადჟარია“, რომელიც ქართულ და რუსულ ენებზე იბეჭდება და ავტონომიური რესპუბლიკის 2012 წლის ბიუჯეტიდან 230.000 ლარით დაფინანსდა (2011: 238.000 ლარი და 2010: 205.000 ლარი).⁹¹

აჭარის სატელევიზიო და რადიო მაუწყებლობის დეპარტამენტმა, რომელიც „აჭარა TV“ მართავს, წელს 6.648 მილიონი ლარი მიიღო ბიუჯეტიდან, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო მაუწყებელი ფუნქციონირებას სამართლებრივი საფუძვლების გარეშე განაგრძობს.⁹² კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის (CRRC) მონაცემებით აჭარის

⁸⁹ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ინტერვიუ ია მამალაძესთან.

⁹⁰ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ინტერვიუ ია მამალაძესთან.

⁹¹ https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=1532899#.

⁹² https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=1532899#.

ტელევიზიას დაფარვის მხრივ ქვეყანაში მეოთხე ადგილი უჭირავს. რესპონდენტთა 55% აცხადებს, რომ რეგიონული მაუწყებლის სიგნალს იღებენ.⁹³

საქართველოს კანონი მაუწყებლის შესახებ საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის, კერძო და სათემო მაუწყებლებისათვის საკანონმდებლო ბაზას აწესრიგებს, მაგრამ არაფერია ნათქვამი ისეთი მაუწყებლების შესახებ, როგორცაა აჭარის ტელევიზია. კანონში ნათქვამია, რომ „იურიდიული პირი, რომელიც იმართება ან დამოკიდებულია ადმინისტრაციულ ორგანოზე“ არ უნდა ფლობდეს სამაუწყებლო ლიცენზიას.⁹⁴ 2005 წლის დეკემბერში კანონში შესული ცვლილებების თანახმად, მთავრობას მოეთხოვება შეიმუშაოს წინადადებები აჭარის ტელევიზიის რეორგანიზაციისთვის 2006 წლის ბოლოსთვის. მაგრამ მთავრობამ არ შეასრულა ეს მოთხოვნა. 2011 წლის აპრილში კანონში შესული ახალი ცვლილებები ისევ შეიცავდა ვადას, 2011 წლის 1 ნოემბერს, როდესაც მთავრობას აჭარა TV-ს რეორგანიზაციის გეგმა უნდა წარედგინა. თუმცა, ეს ვადაც გავიდა და მთავრობას არანაირი გეგმა არ წარუდგენია.⁹⁵

ეთერ თურადის თქმით, რომელიც „ბათუმელების“ მთავარი რედაქტორია, ხანგრძლივ მოლაპარაკებებს აწარმოებდა შპს „ექსპრესთან“, საგაზეთო კიოსკების ქსელთან, რომლის 70% დღესდღეობით ხელისუფლების საკუთრებაშია (30%-ს ფლობს ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებული ოფშორული კომპანია, რომელიც თავდაცვის ყოფილ მინისტრთან, დავით კეზერაშვილთან ასოცირდება).⁹⁶ „საბოლოო ჯამში მათ უარი განაცხადეს „ბათუმელების“ დისტრიბუციაზე. მათი თქმით, „ეს არ გვიღირს, თქვენ გაზეთის საკმარის რაოდენობას ვერ ყიდით“, ამბობს თურადე. მისი განცხადებით, კვირის განმავლობაში 5,000 გაზეთი იბეჭდება - რაც ქართული სტანდარტებისთვის დიდი ტირაჟია.⁹⁷ თუმცა მთელი რიგი თბილისში მოქმედი ძირითადი გამომცემლებისა დღემდე უარს აცხადებენ შპს „ექსპრესთან“ მოლაპარაკებების გამართვაზე მათი გამოცემების დედაქალაქსა და სხვა ქალაქებში კომპანიის კიოსკებში გავრცელების თაობაზე, „ბათუმელების“ მტკიცებით მათ დისტრიბუციაზე უარი განუცხადეს.

დაარსების დღიდან 2001 წელს, „ბათუმელებმა“ საკუთარი დისტრიბუციის სისტემა ააწყო და გაზეთს ხელმომწერებს აჭარის სოფლებშიც აწვდის. თურადის თქმით, ტირაჟის მხოლოდ ათი პროცენტი - 500 ასლი - იყიდება ქუჩაში, ხოლო გაუყიდავი ტირაჟის მხოლოდ შვიდიდან ათ პროცენტამდე რჩება.

„გურია ნიუსის“ მსგავსად, „ბათუმელების“ სადისტრიბუციო სისტემა მკითხველთა არეალის გაფართოებისთვის წახალისების გამოყენებას ეფუძნება. „ბათუმელების“ ზოგიერთი

⁹³ კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის კვლევა, 2011, <http://www.crrc.ge/oda/?dataset=7&row=127>.

⁹⁴ კანონი მაუწყებლობის შესახებ, 37 მუხლის მეორე პარაგრაფი.

⁹⁵ კანონი მაუწყებლობის შესახებ, 76 მუხლის მე-19 პარაგრაფი.

⁹⁶ შპს ექსპრესის შესახებ დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ანგარიში საქართველოს სარეკლამო ბაზრის შესახებ <http://transparency.ge/advertising>; საჯარო რეესტრის მონაცემები,

https://enreg.reestri.gov.ge/masin.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=349341&app_id=402210.

⁹⁷ საქართველოს უდიდესი ყოველდღიური გაზეთების ტირაჟი დღეში 5,000-ს არ უნდა აღემატებოდეს. მხოლოდ თბილისის რამდენიმე ყოველკვირეული გამოცემა ახერხებს კვირაში 10,000-ზე მეტი ტირაჟის გაყიდვას. საქართველოში ტირაჟების დამოუკიდებლად გადამოწმებული მონაცემები არ არსებობს.

დისტრიბუტორი მოხალისეა, რომელიც საკომისიოს გამოიმუშავებს - ახალი ხელმომწერის გაჩენის შემთხვევაში ისინი შემოსავლის გარკვეულ პროცენტს იტოვებენ. ახალი ხელმომწერების გულის მოსაგებად „ბათუმელებმა“ გაზეთი ავტონომიური რესპუბლიკის ყველა ოჯახში უფასოდ სამჯერ დაარიგა.